MES 7 23 0000865819

11/07/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 27. 06. 2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:15 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში - აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნათია ზედგინიძე** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. **რატი რატიანი -** შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **გურანდა ჭელიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
5. **ქეთევან ზურაშვილი -** სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.
6. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
7. **ლაშა ჩხარტიშვილი** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
8. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.
9. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

10. **ნინო ბაქრაძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
11. **თინათინ ჭაბუკიანი -** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
12. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი.
14. **ნინო ღაღანიძე** - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.
15. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
16. **თამარ სირაძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
17. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
18. **მარინა ქავთარაძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი

აკრედიტაციის საბჭოს მოწვეული წევრები

1. **ბიძინა კულუმბეგოვი -** შპს „ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის“ კლინიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
2. **დავით კობეშავიძე -** შპს „იმედის კლინიკის“ დირექტორი.
3. **ნინო ოკრიბელაშვილი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი.
4. **მარინე გელანტია -** სს „ჩაჩავას კლინიკის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.
5. **ნათია სხვიტარიძე -** სსიპ - ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორისმრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში.
6. **ეკა ეკალაძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
7. **ლევან რატიანი -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი; ამავე უნივერსიტეტის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი.
8. **თამარ ვალიშვილი -** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; ამავე უნივერსიტეტის პროფესორი.
9. **ხათუნა ზალდასტანიშვილი -** სსიპ -სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი.

10. **მაია ბიწკინაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა კათედრის ასოცირებული პროფესორი.
11. **ივანე ჩხაიძე** - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემოშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი; სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი.
12. **შორენა წიკლაური** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი; ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი.
13. **ნინო შარიქაძე** - შპს „ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის“ კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	**სტატუსი**
ნიკოლოზ ფარჯანაძე	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ქეთევან ინანაშვილი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
თამთა მოხევიშვილი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1	ირაკლი კორძაია	**სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროგრამის ხელმძღვანელი	**I**
2	როსტომ ბერიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**I**
3	ვლადიმერ ღლონტი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**I**
4	პაატა ჩაგანავა		ტურიზმის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**I**
5	თამარ ტუფინაშვილი	**შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი**	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**II**

6	თეა კორძაძე	**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**III**
7	ქეთევან კინწურაშვილი		აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**III**
8	ნანა შარაბიძე		საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
9	მარიეტა თაბაგარი		აგრარული ფაკულტეტის დეკანი	**III**
10	იზოლდა ხასაია		სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
11	არჩილ ჯანგირაშვილი	**შპს საქართველოს უნივერსიტეტი**	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**IV**
12	თინათინ ღუდუშაური		ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი	**IV**
13	ნინო ლაღიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**
14	შალვა ჭკადუა	**სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	რექტორი	**V**
15	სალომე თათულიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**V**
16	ნანა რინკიაშვილი		პროფესორი	**V**
17	ლალი ჩაგელიშვილი		პროფესორი	**V**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონ ული საშუალებით მონა წილეობის შესახებ**	**საკითხი**
1.	რონი ჰუანგ	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ვაჟა კელიხაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	მიჰაი ბოროში	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	თამარ გოდერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ქეთევან კანკავა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	გიორგი მღვდელაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ვალერი არღუთაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III

11	ია ბუცხრიკიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	ნინო ხაბეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
13	ეკა გეგეშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
14	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე, გადაამოწმა საბჭოს მოწვეული წევრების კვორუმი და დაადგინა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, საბჭოს მოწვეული წევრების ¾ ესწრებოდა სხდომას. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერისტეტის ,,ტურიზმის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - "გამოყენებითი ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერისტეტის ,,ტურიზმის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

5. სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - "გამოყენებითი ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1.პირველი საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი/Tourism
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 25 ნოემბერი, გადაწყვეტილება N 352
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ტურიზმი/Tourism
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში Bachelor of Business Administration in Tourism
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება 1015
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240 კრედიტი (ECTS)
14	განხორციელების ადგილი	ბსუ-ს I კორპუსი. რუსთაველის ქ. 32, ბათუმი, საფოსტო ინდექსი - 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითთაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა - თამარ სირაძემ.

აცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები:

- პროგრამის სტრუქტურა საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კურსების ლოგიკური დაგეგმვა და სავალდებულო გახდეს სტუდენტებისთვის თვისებრივი კვლევის მეთოდის სწავლება, ვიდრე ისინი საბაკალავრო ნაშრომზე დაიწყებენ მუშაობას. (სტანდარტი 1.4).
- ტურიზმის პროგრამაზე განხორციელდეს შესაბამისი კურსის სილაბუსების სისტემატური განხილვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს განახლებული ლიტერატურის წყაროები ძირითად და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში. (სტანდარტი 1.5).
- დამსაქმებლებთან ან პრაქტიკის ცენტრებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ან/და მათი დანართები უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას და პრაქტიკის ხანგრძლივობას. (სტანდარტი 2).

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ეკა ლეკაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ქართულენოვან პროგრამას წარმოადგენს. უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა ქართველი ექსპერტების, კერძოდ ნინო ჯოჯუას, ვაჟა კელიხაშვილისა და ეკა ლეკაშვილის მიერ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე რონგ ჰუანგი ჩართული იყო აღნიშნულ პროცესში დისტანციური ფორმით, ZOOM პლატფორმის გამოყენებით. ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ განახორციელა ყველა ღონისძიება იმისათვის, რომ ექსპერტებისთვის მოეწოდებინა პროგრამის შესახებ სრული ინფორმაცია. პროგრამა შეფასდა დადებითად, თუმცა პროგრამის სტრუქტურის მიმართ გაიცა რეკომენდაცია. კონკრეტულად კი რეკომენდაცია ასე ჟღერდა: „პროგრამის სტრუქტურა საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას გარკვეულ კურსებთან დაკავშირებით, იმისთვის, რომ ლოგიკური მიდგომა იყოს შენარჩუნებული“. ექსპერტის თქმით, ეს მიმართული იქნებოდა ხარისხობრივი კვლევის მეთოდების უნარების გამომუშავებაზე. სტრუქტურის ცვლილება კი სწორედ აღნიშნული საკითხის სრულყოფას უკავშირდებოდა, რადგან სტუდენტებს უნდა შეძლებოდათ საბაკალავრო თეზისის/ნაშრომის შესრულებისას ცოდნისა და კვლევითი უნარების გამოყენება. გარდა ამისა, რეკომენდაცია გაიცა სილაბუსებთან დაკავშირებით, სადაც ითქვა, რომ სილაბუსები უნდა შევსებულიყო რელევანტური თანამედროვე ლიტერატურით. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ გარკვეული მემორანდუმების ნაწილი საჭიროებდა გადახედვას და გაუმჯობესებას, იმისთვის, რომ დაკონკრეტებულიყო, თუ რამდენი სტუდენტის მიღება შეეძლო პრაქტიკის ობიექტს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ვლადიმერ ღლონტი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნას უნივერსიტეტი იზიარებს, თუმცა არსებობს რამდენიმე საკითხი, რომლებზეც დაწესებულებას განსხვავებული პოზიცია აქვს. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისათვის. ფაკულტეტის დეკანმა და პროგრამის ხელმძღვანელმა, ირაკლი კორძაიამ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამის სტრუქტურა აგებულია იმგვარად, რომ საბაკალავრო ნაშრომს ე.ი. კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის შესრულებას თან ახლავს ალტერნატიული სასწავლო კურსები, რომლებშიაც იგულისხმება პროექტებისა და რისკების მართვა ტურიზმში. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი ან აირჩიოს აღნიშნული სასწავლო კურსები, რომლებიც იგივე კომპეტენციაზე და შედეგზე გაიყვანს მას როგორც საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას. სტუდენტი პირველ კურსზე ეცნობა სასწავლო პროგრამის და გეგმის სტრუქტურას. შესაბამისად, მას შესაძლებლობა აქვს რეკომენდაციის სახით აირჩიოს თვისებრივი კვლევის მეთოდების სასწავლო კურსი და შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი, თუმცა სტუდენტს იმის შესაძლებლობაც აქვს, რომ აირჩიოს ალტერნატიული სასწავლო კურსები, რომლებიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე გულისხმობს კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს.
უნივერსიტეტს მიაჩნია, რომ თვისობრივი კვლევის მეთოდების სასწავლო კურსის სავალდებულო სასწავლო კომპონენტად გადმოტანა არ ცვლის არსობრივად პროგრამის სტრუქტურას. ირაკლი კორძაიამ სილაბუსებში ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას. დაწესებულებას აქვს ურთიერთობა საქართველოს ისეთ უნივერსიტეტებთან, რომლებიც ახორციელებენ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამებს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ერთმანეთს უზიარებენ იმ ლიტერატურას, რომლებიც არის ახალი. გარდა ამისა, სასწავლო კურსის პედაგოგები ახდენენ რიდერების განახლებას. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულება კარგად თანამშრომლობს ინდუსტრიასთან. პრაქტიკის ობიექტებთან განახლდება მემორანდუმები, რომლებშიც აისახება სტუდენტთა მიღების რაოდენობა პრაქტიკის ობიექტებზე.

14:23 საათზე სხდომას შემოუერთდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, რონი ჰუანგი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, წარმოედგინა პროგრამას თან დაკავშირებით შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, შეფასებისას ძირითადი საკითხებს წარმოადგენდა თარგმნა და ენის ბარიერი. დოკუმენტების გარკვეული ნაწილი ქართულ ენაზე იყო თარგმნილი, ხოლო ნაწილი კი ინგლისურად მცირე განსხვავებებით. ქართველი ექსპერტების დახმარებით მათ შეძლეს ამ პროცესის წარმატებით დასრულება. უნივერსიტეტმა გაიზიარა ექსპერტების გაცემული რეკომენდაციები. რონგ ჰუანგიმ ყურადღება გაამახვილა ისეთ რეკომენდაციაზე, რომელიც ეხებოდა სასწავლო კურსებს და მათში თვისობრივი კვლევის გათვალისწინების აუცილებლობას იმისათვის, რომ სტუდენტმა წარმატებით შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ზურაშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მან განაცხადა, რომ სავალდებულო სასწავლო კურსების ძირითად ნაწილში ფიქსირდება ეკოტურიზმის რამდენიმე სახეობა, ხოლო დამატებით არჩევითში გადატანილია ისეთი სახეობები, როგორებიცაა

კულტურული ტურიზმი და აგროტურიზმი. მას აინტერესებდა, რამ გამოიწვია ეკოტურიზმის რამდენიმე სახეობის ასეთი გადანაწილება. გარდა ამისა, კურსდამთავრებულების მონაცემთა ბაზა აქვს თუ არა უნივერსიტეტს. დაწესებულების წარმომადგენელმა, ირაკლი კორძაიამ უპასუხა, რომ სასწავლო გეგმა წარმოდგენილი არის იმ ლოგიკური თანმიმდევრობით, რომ სტუდენტს უღრმავებს ცოდნას პროგრამის სწავლების შედეგებისა და მიზნებიდან გამომდინარე. არჩევითი კურსები, კერძოდ კულტურული ტურიზმი და აგროტურიზმი სავალდებულო არჩევით კურსებშია გადატანილი. წლების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეკოლოგიური ტურიზმი ხელს უწყობს სტუდენტს დასაქმებაში. სტუდენტების 85%-ი სპეციალობის შესაბამისად დასაქმებულია. ზოგადი კვლევის საფუძველზე, სტუდენტთა 85%-იდან 80%-ი არის სასტუმრო ინდუსტრიაში დასაქმებული სხვადასხვა პოზიციებზე.

საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მან განაცხადა, დაწესებულების მიერ შრომის ბაზრის კვლევის ამსახველმა დოკუმენტმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა იმიტომ, რომ გასცა პასუხი ერთ-ერთ მთავარ კითხვაზე - „როგორია შესაბამისობა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების სწავლის შედეგებსა და დასაქმების შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის“. მისი თქმით, ამ დოკუმენტმა გამოავლინა გარკვეული გასაუმჯობესებელი მხარეებიც, კერძოდ სტუდენტის ენობრივი კომპეტენციების კუთხით. ვინაიდან, იმ 32 ორგანიზაციიდან, რომლებიც შერჩევაში იყვნენ ჩართულნი, 93-მა %-მა აღნიშნა, რომ ენობრივი კომპეტენცია იყო მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, 22-მა %-მა კი აღნიშნა, რომ უსდ-ს კურსდამთავრებულების 22 %-ს ჰქონდა მაღალი ენობრივი კომპეტენცია. შესაბამისად, ის დაინტერესდა, ფიქრობდა თუ არა უსდ, რომ ეს იყო გასაუმჯობესებელი მხარე და საჭირო იყო თუ არა, გაზრდილიყო შეფასება ენობრივი კომპეტენციების კონტექსტში დამსაქმებლებიდან გამომდინარე და რა მექანიზმებით ეცდებოდა დაწესებულება ამის მიღწევას? ის ასევე, დაინტერესდა რა მეთოდით აკომპლექტებდა უნივერსიტეტი უცხო ენაში ჯგუფებს? გარდა ამისა, მან იკითხა, შესაძლებელი იყო თუ არა, სტუდენტს A დონით დაეწყო ინგლისურის სწავლა და გასულიყო A2.2 დონეზე? ანუ, A2.2 დონითაც შეძლებდა სტუდენტი სწავლის დასრულებას და B 2.2 დონითაც?

ირაკლი კორძაიამ უპასუხა, რომ დამსაქმებელთა 22%-ი აღნიშნავდა, რომ სტუდენტები ინგლისურ ენაში მაღალი ენობრივი კომპეტენციით იყვნენ წარმოდგენილნი. ირაკლი კორძაიას თქმით, პროგრამა ითვალისწინებდა ინგლისურენოვან სასწავლო კურსებს, რომელთა სწავლაც შეეძლოთ მათ სტუდენტებს და ამ კურსების წინაპირობა იყო ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნა. თუმცა, უსდ ხელს უწყობდა სტუდენტებს, დარგობრივი ენის კომპეტენციების გაუმჯობესებაში შესაბამისი სასწავლო კურსებით. შესაბამისად, 150 სტუდენტიდან, დაახლოებით 25-30 სტუდენტი ადასტურებდა ენის კომპეტენციას და ხდებოდა ცალკე ჯგუფის ფორმირება, რომელსაც ჰქონდა შესაძლებლობა, გარკვეული სასწავლო კურსები ესწავლათ ინგლისურ ენაზე. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სტუდენტს შეეძლო კურსი დაესრულებინა A2.2 დონით. დაწესებულება ყოველ წელს ზრდიდა უცხო ენის ბარიერს ერთიან ეროვნულ გამოცდაზე, რათა მაღალი კომპეტენციის სტუდენტები ჩარიცხულიყვნენ პროგრამაზე. გარდა ამისა, ოთხი სასწავლო სემესტრის განმავლობაში, 20 კრედიტის ფარგლებში, სტუდენტს შეეძლო ესწავლა ინგლისური ენა. ასევე, 60 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ჰქონდა, აერჩია ინგლისური ენა, გერმანული ენა და ა.შ. შესაბამისად, პროგრამის დასრულებისას სტუდენტს შეეძლო მაღალი ენობრივი კომპეტენციებით გასულიყო ბაზარზე და დასაქმებულიყო. ვლადიმერ ღლონტმა აღნიშნა, რომ 150 სტუდენტი ინგლისურ ენას სწავლობდა განსხვავებულად, კერძოდ სხვადასხვა დონის შესაბამისად. ამ დონის იდენტიფიცირება ხდება ერთიან ეროვნულ გამოცდაზე მიღებული ქულით. სტუდენტი, რომელიც დაიწყებს A1.1 დონით უცხო ენის სწავლას, ის ვალდებულია დაასრულოს B1 დონით. თუ სტუდენტის უცხო ენის ცოდნა მაღალია, უნივერსიტეტი მას შესთავაზებს სხვა დონის ენობრივ კურს და შესაძლებელია B2 დონეზე გავიდეს. ოთხი სასწავლო სემესტრის

განმავლობაში 20 კრედიტის ფარგლებში დაწესებულება ახორციელებს „Open Mind”-ის პროგრამას, რომელიც სტუდენტს ხელს უწყობს მაქსიმალური შედეგის მიღწევაში, კერძოდ ენობრივი კომპეტენციის მიღების თვალსაზრისით.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მან განაცხადა, რომ პროგრამის სწავლის მე-6 შედეგში იკითხება შემდეგი რამ: „აცნობიერებს კროსკულტურულ პასუხისმგებლობას ტურიზმის ორგანიზაციაში და საზოგადოებაში“. ეს წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგს. პროგრამის სწავლის შედეგში უნდა ყოფილიყო შესაბამისი სასწავლო კურსი. მას აინტერესებდა, პროგრამის სწავლის შედეგში რატომ არ არის მოცემული შესაბამისი სასწავლო კურსი. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას მე-7 და მე-8 სემესტრში აქვს პრაქტიკა. ორივე სემესტრის კურსის სილაბუსი არაფრით განსხვავდება ერთმანეთისაგან გარდა წინაპირობისა. ამ სილაბუსების მიზანი, ფორმატი, მეთოდი, შედეგი, შეფასების კრიტერიუმები, დავალებები და ა.შ. არის ერთნაირი. მას აინტერესებდა, ფიქრობდა თუ არა დაწესებულება დაეტოვებინა ამ ორი სილაბუსიდან 10 კრედიტიანი ერთი სილაბუსი.
გარდა ამისა, სასწავლო კურსების სილაბუსებში, კერძოდ „სოფლის ტურიზმის დანიშნულების ადგილები“, „კულტურული ტურიზმი“ და „საექსკურსიო საქმე“ რატომ არ არის შუალედური და დასკვნითი გამოცდის ქულები გაწერილი? ასევე, პროექტი და რისკების მართვის სასწავლო კურსი ანაცვლებდა თუ არა სადიპლომო ნაშრომს? გარდა ამისა, როგორ კეთდებოდა პროექტი, როგორი იყო ამ პროექტის კრიტერიუმები? რისკების მართვაში ეწერა შემდეგი რამ: „სტუდენტი დამოუკიდებლად ქმნის და მართავს რისკების მართვის სქემას“, თუმცა მითითებული არ იყო როგორ ქმნის იგი მას. მან აღნიშნა, რომ საქართველოში არსებულ ორგანიზაციებთან უნივერსიტეტს გაფორმებული ქონდა მემორანდუმები, რომლებიც შესრულებულია ინგლისურ და არა ქართულ ენაზე. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი და გეგმავდა თუ არა დაწესებულება საკუთარ ქვეყანაში მშობლიურ ენაზე მემორანდუმების გაფორმებას? დაწესებულების წარმომადგენელმა, ირაკლი კორძაიამ უპასუხა, რომ ტურიზმისა და მასპინძლობის საფუძვლები ფარავს კულტურულ ტურიზმს. გარდა ამისა, ტურიზმის პოლიტიკაშიც არის ნაწილობრივ წარმოდგენილი, რომელშიც საუბარია კროსკულტურულ და ბიზნეს კულტურასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სტუდენტი სასწავლო პროგრამის ფარგლებში გადის შედეგზე. სასწავლო პრაქტიკის კომპონენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამის სილაბუსებში, კერძოდ სილაბუსი 1 მასპინძლობის ინდუსტრიაში პრაქტიკულ კომპონენტს გულისხმობს, ხოლო სილაბუსი 2 ტურიზმში პრაქტიკულ კომპონენტს გულისხმობს. შესაბამისად, გამიჯნულია ტურიზმი და მასპინძლობის ინდუსტრია. რუბრიკები თითოეულ სილაბუსშია წარმოდგენილი, თუმცა გაუმჯობესებას საჭიროებს.
საქართველოში არსებულ ორგანიზაციებთან უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. ირაკლი კორძაია საექსკურსიო საქმიანობასთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა, რომ პედაგოგი 2011 წლიდან არის ტურისტულ კომპანიაში, რომელიც საექსკურსიო საგანს კითხულობს, თუმცა CV-ში ეს არ არის წარმოდგენილი იმიტომ, რომ ძირითადად სამეცნიერო ხასიათისაა მისი საქმიანობა. მან განაცხადა, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული საბაკალავრო ნაშრომი არ წარმოადგენს სამეცნიერო ხასიათის მქონე დოკუმენტს. მას აქვს მხოლოდ კვლევითი ხასიათი. რისკების მენეჯმენტი და პროექტების მართვა კი სტუდენტს ასრულებინებს კვლევითი ხასიათის პროექტებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 14:58
დასრულებისდრო: 15:36

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბოლოოდ საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა იყოს ახსნილი ბაკალავრიატის დონეზე და ისინი უნდა იყოს აგებული ლოგიკური თანმიმდევრობით, რათა ასახავდეს პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს.
2. რეკომენდებულია კულტურული ტურიზმის სასწავლო კურსი გადავიდეს ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო სავალდებულო კურსებში.
3. პროგრამის სტრუქტურა საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კურსების დაგეგმვა ლოგიკურად და საჭირო შინაარსის მიწოდება სტუდენტებისათვის, ვიდრე საბაკალავრო ნაშრომზე დაიწყებენ მუშაობას.
4. რეკომენდებულია, გადაიხედოს და განისაზღვროს სასწავლო კურსების "რისკების მენეჯმენტი ტურიზმში", "პროექტის მენეჯმენტი ტურიზმში", "საბაკალავრო ნაშრომი" სტატუსი პროგრამაში და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან, დარგობრივ მახასიათებელთან.
5. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსებში შეფასებები გამჭვირვალეობის მიზნით.
6. რეკომენდებულია გადაიხედოს პრაქტიკა 1 და პრაქტიკა 2-ის სილაბუსები და გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან სილაბუსების მიზანი და პრაქტიკის შედეგები.
7. ტურიზმის პროგრამაზე შემოწმდეს ყველა კურსის სილაბუსი ქართულ და ინგლისურ ენებზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების ჩაშლა შემდეგ კომპონენტებად: „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარები და კომპეტენციები“ და „პასუხისმგებლობა/ავტონომია“, როგორც ეს მითითებულია კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოში.
8. საგანმანათლებლო კურსების ძირითად და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში შევიდეს უახლესი წყაროები.

9. დამსაქმებლებთან ან პრაქტიკის ცენტრებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ან/და მათი დანართები უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობას და პრაქტიკის ხანგრძლივობას.
10. რეკომენდებულია განახლდეს პროგრამაში ჩართული პერსონალის CV -ბი

რჩევები:

- პროგრამის სწავლის შედეგები საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას, რათა თითოეული სწავლის შედეგი იყოს მოკლედ და კომპაქტურად ახსნილი ბევრი მოთხოვნის გარეშე.
- სრული ინფორმაცია დაშვების წინაპირობების შესახებ უნდა განთავსდეს ბსუ-ის ვებგვერდზე და პროგრამების კატალოგში/ბროშურაში.
- ტურიზმის პროგრამის სტუდენტებმა უნდა გაიარონ ტრენინგი, რათა გამოიყენონ შესაბამისი მითითების სტილი საბაკალავრო ნაშრომების ბიბლიოგრაფიის ნაწილში წყაროების ციტირებისათვის.
- ტურიზმის პროგრამამ უნდა გამოიყენოს პროაქტიული მიდგომები, რათა გაზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო კვლევით ღონისძიებებში და ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართულობას სხვადასხვა საგრანტო კონკურსებში.
- ადმინისტრაციამ ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ ყველა პერსონალის CV განახლდეს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.
- ტურიზმის პროგრამის გუნდს შეუძლია უკეთ დაადასტუროს და მართოს უცხოელი ექსპერტების მიერ შეფასების პროცესი უფრო სისტემატიურად, რათა უზრუნველყოს ტურიზმის პროგრამის უწყვეტი განვითარება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეული წევრები

2. მეორე საკითხი: შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა/Medicine
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 13 ივლისი, №706151
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მედიცინა/Medicine
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი/Medical Doctor (MD)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 მედიცინა/Medicine
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ. №25, თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ)მა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა უნდა დაიწყოს კურსდამთავრებულთა შემდგომი გამოკითხვები ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მეშვეობით, პროგრამის შედეგების (კარიერული სფერო და თანამდებობა) მონიტორინგის მიზნით. ამან შეიძლება გააძლიეროს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და უზრუნველყოს ეფექტური მარკეტინგული სტრატეგია.
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს პერსონალის სავალდებულო ტრენინგი სილაბუსებში ჩამოთვლილ სწავლების მეთოდოლოგიაზე.
- გაუმჯობესდეს რეალურ პაციენტებთან სტუდენტების რეალური კლინიკური სწავლების რაოდენობა და თანმიმდევრულობა.
- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სამედიცინო სფეროსათვის მისაღები ეთიკის კოდექსი. ეს უნდა იყოს კლინიკური და სამედიცინო კომუნიკაციის კურსების მნიშვნელოვანი ნაწილი. ის უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი საუნივერსიტეტო საზოგადოების ყველა წევრისთვის ვებგვერდის საშუალებით.
- დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საკუთარი სასწავლო და კვლევითი ლაბორატორია, ადეკვატურად აღჭურვილი, სამეცნიერო კვლევის კომპონენტის გათვალისწინებით.
- პრეკლინიკურ კურსებში და სიმულაციური ტრენინგის დროს შეძენილი პროცედურული და კომუნიკაციის უნარები უნდა იყოს ინტეგრირებული კლინიკურ სასწავლო გეგმაში

სამივე დონეზე (გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება). ამ შემთხვევაში საჭირო იქნება სასწავლო გეგმის გადახედვა და შეცვლა.

- უნდა გაიზარდოს პროგრამის ვერტიკალური ინტეგრაცია.
- უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს მკაფიო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთკავშირს სამედიცინო განათლებასა და კვლევებს შორის. გეგმები უნდა დაისახოს სამეცნიერო სტრატეგიაში. სამეცნიერო სტრატეგია ასევე მკაფიოდ უნდა ითვალისწინებდეს პროგრამის ადამიანური რესურსების განვითარების საჭიროებებს.
- სამუშაოს შესრულების ძირითადი ინდიკატორები უნდა იყოს ინგლისურ ენაზე და გამოქვეყნებული ვებგვერდზე.
- მეტი აქცენტი და დრო უნდა დაეთმოს ბოლო სემესტრებში (VI წელი) კლინიკურ როტაციებსა და პრაქტიკულ სამედიცინო სამუშაოების განხორციელებას ზედამხედველობის ქვეშ.
- უნდა განისაზღვროს ზედამხედველობის წესები, კლინიკურ საგნებში ჩართული კლინიკური დამრიგებლების შერჩევის კრიტერიუმები პასუხისმგებლობებთან და სწავლების ხარისხის კონტროლის მექანიზმებთან ერთად.
- უსდ-მ უზრუნველყოს კლინიკური უნარების სწავლება დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად; მიმდინარე საორიენტაციო დოკუმენტით მოთხოვნილი სწავლის მეთოდოლოგიები გათვალისწინებული იყოს პროგრამის აღწერაში, სილაბუსებში და რაც მთავარია რეალურ პრაქტიკაში.
- უსდ-მ უნდა უზრუნველყოს, საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არსებობა სილაბუსებსა და დარგობრივ მახასიათებელში ჩამოთვლილი პრაქტიკული უნარების სწავლებისათვის.
- უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამის აღწერილობითი ნაწილის შესაბამისობა სილაბუსების შინაარსთან და რამდენადაც ადრეული კლინიკური მიდგომაა გათვალისწინებული, უზრუნველყოს ასევე მისი ხაზგასმა სილაბუსებში და მისი განხორციელება პრაქტიკაში.
- განახლდეს ლიტერატურის ჩამონათვალი სილაბუსებში, თუ ჰენდაუთები ფართოდ გამოიყენება, უსდ-მ უზრუნველყოს ჰენდაუთების შინაარსის სათანადო ხარისხის კონტროლი, რათა სასწავლო მასალა შეესაბამებოდეს მისაღწევ სწავლის შედეგებს.
- უსდ-მ უზრუნველყოს არჩევითი საგნების მრავალფეროვნება და გაზარდოს მათი თანაფარდობა სემესტრების განმავლობაში.
- გაუმჯობესდეს კლინიკური უნარების ცენტრის საქმიანობის ეფექტიანობა.
- უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია კლინიკური მოდულების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო ცენტრის/კლინიკის შესახებ, ასევე ცხრილი/გრაფიკი კონკრეტული სასწავლო კურსის განმავლობაში სტუდენტთა რაოდენობის ერთდროულად მიღების შესაძლებლობის შესახებ.
- რეკომენდებულია უნარების ცენტრში დასაქმდეს სპეციალისტი საგანმანათლებლო მენეჯერი/ასისტენტი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მუდმივ მხარდაჭერას.
- უსდ-მ დაისახოს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) განხორციელების რეალისტური გეგმა - ოთახების, აღჭურვილობისა და პერსონალის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.
- გაიზარდოს აღჭურვილობის მრავალფეროვნება და ხარისხი კლინიკური უნარების ლაბორატორიაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს OSCE-ს ჩატარება დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად.
- დაიგეგმოს OSCE ისე, რომ შეიცავდეს მინიმუმ 10 სადგურს.
- უსდ-მ უზრუნველყოს, რომ დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული კრიტიკული უნარები სათანადოდ არის შეფასებული.
- უსდ სიფრთხილით მოეკიდოს იმას, თუ როგორ აისახება სტუდენტთა კოლეგიალური შეფასება, მათ საერთო შეფასებაში.

- პორტფოლიო, რომელიც ასახავს სტუდენტების საერთო აკადემიურ და არააკადემიურ მიღწევებს და გამოიყენება ხარვეზების ანალიზისა და გაუმჯობესების წყაროდ, იქცეს სტუდენტების შეფასების მნიშვნელოვან ნაწილად.
- მეტი ყურადღება დაეთმოს კვლევას და აკადემიურ ეთიკას ბიოსამედიცინო კვლევის სწავლებისა და შეფასებისას.
- უსდ-მ უზრუნველყოს, რომ პედაგოგიურ პერსონალს ჰქონდეს საკმარისი გამოცდილება და ტრენინგი გავლილი პროგრამაში აღწერილი სწავლებისა და შეფასების მეთოდების გამოსაყენებლად.
- უსდ-მ უზრუნველყოს თითოეულ კურსში/საგანში საკმარისი პერსონალის არსებობა დარგის სპეციფიკური ცოდნით.
- უსდ-მ შეიტანოს პროგრამის შესაძლებლობებთან დაკავშირებული მეტი მონაცემი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში.
- რეკომენდებულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი სრულად იყოს ჩართული პროგრამის დიზაინის, განხორციელებისა და ხარისხის კონტროლის ყველა ასპექტში.
- უსდ-მ უზრუნველყოს პერსონალის დატვირთვის რეგულარულად განახლება ხარისხის მართვის სიტემის (QMS) პლატფორმაზე.
- უნდა გაიწეროს სქემატური გეგმები, რათა ხელი შეეწყოს კონკურენტუნარიან სამეცნიერო საქმიანობას და საუკეთესო/წარმატებული კვლევითი მიღწევების აღიარებას რაოდენობრივი პარამეტრების და თვისებრივი აღმწერების (საიენტომეტრიკა, ინდიკატორები) გამოყენებით. განსაზღვრული სტრატეგიები უნდა განხორციელდეს საქმიანობაში.
- საჭიროა მეტი ინტერნაციონალიზაცია პერსონალის/სტუდენტების მობილობის აქტიური მხარდაჭერით.
- უნივერსიტეტში სტუდენტების კომფორტის დონის ამაღლების მიზნით გაუმჯობესდეს სასწავლო სივრცეების ინფრასტრუქტურა.
- განხორციელდეს სასწავლო ლაბორატორიების მოდერნიზება. განახლდეს არსებული ობიექტები სპეციფიური აღჭურვილობით, საჩვენებელი ხელსაწყოებითა და მასალებით, რომლებიც შეესაბამება სწავლების საგნებს და ამ საგნებში მითითებულ სწავლის შედეგებს.
- უნარ-ჩვევების ცენტრის არსებული ტექნიკური ფონი უნდა გაუმჯობესდეს და შემდგომ განვითარდეს დიაგნოსტიკური და ტექნიკური/ინტერვენციული შესაძლებლობებით.
- გამოიყოს სახსრები უნარ-ჩვევების ცენტრის ინტერნაციონალიზაციისა და საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
- საკმარისი დეტალებითა და სიღრმისეულად ეცნობოს პროგრამის ყველა მონაწილეს პერსონალის შეფასების მექანიზმის დეტალები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები.
- ჩატარდეს კმაყოფილების შემსწავლელი გამოკითხვები, პროგრამის შედეგების პერიოდული მონიტორინგით და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს სტრატეგიების გადახედვა სათანადო ცვლილებების მხარდასაჭერად.
- გარე შეფასება უნდა დაიგეგმოს საქართველოში აკრედიტებულ უნივერსიტეტებთან ან სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით.
- განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების არაპირდაპირი მეთოდები, მათ შორის დაინტერესებული მხარეების - კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვა.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი, მიჰაი ბოროში მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ გაიცა 41 რეკომენდაცია და 13 რჩევა, რაც საკმაოდ ბევრია, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა ამის მიზეზი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, პროგრამას მინიჭებული ჰქონდა პირობითი აკრედიტაცია და რეკომენდაციების ნაწილი, რომელიც 2021 წელს იყო გაცემული, სამწუხაროდ კვლავ იყო შესრულებელი. შესაბამისად, იმისათვის, რომ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგები იქნეს მიღწეული, ამისთვის უნივერსიტეტის მიერ ბევრი საკითხი იყო გამოსასწორებელი, რომელიც გამოიკვეთა დოკუმენტების შესწავლის და ვიზიტის შემდეგ.
მიჰაი ბოროშმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თითოეული წევრი პასუხისმგებელი იყო კონკრეტულ სტანდარტზე, რის გამოც, შესაძლებელი იყო, რეკომენდაციების ნაწილი თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ყოფილიყო მეტნაკლებად მსგავსი, რაც რაც განპირობებული იყო აკრედიტაციის სტანდარტებს შორის არსებული კავშირებითა და მედიცინის პროგრამისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა სპეციფიური ასპექტებით. მისი თქმით, პროგრამის დეტალური შეფასება და მიმოხილვა აუცილებელია იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს უნივერსიტეტში სწავლის ხარისხი. მიჰაი ბოროშმა განმარტა, რომ როგორც დასკვნაში იყო ასახული, პირველი სტანდარტი მეტწილად, მეორე სტანდარტი ნაწილობრივ, მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია, ხოლო მეოთხე და მეხუთე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფი შეეცადა გადმოეცა დაბალანსებული ხედვა პროგრამის შესახებ, თუმცა, მათი შეფასებით, ზოგიერთი ასპექტი არ იყო შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, კერძოდ ინფრასტრუქტურა, ლაბორატორიები, OSCE-ის გამოცდისთვის განკუთვნილი სიმულაციური ცენტრი და შენობის გარკვეული ნაწილი, რაც მათი მოსაზრებით არ ქმნიდა კომფორტულ გარემოს სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, პრობლემები შეინიშნებოდა კვლევისა და უნარების ლაბორატორიასთან დაკავშირებით. პროგრამაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო „ვერტიკალური ინტეგრაცია“. მისი თქმით, ხარვეზი იყო სასწავლო კურსის დონეებს შორისაც, კერძოდ, პირველადი დახმარება ისწავლებოდა უფრო მოგვიანებით, ვიდრე პროგრამით უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. ასევე, შეინიშნებოდა საერთაშორისო ურთიერთობებისა და ინტერნაციონალიზაციის, კვლევისა და სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებული სტრატეგიის ნაკლებობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, თამარ ტუფინაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა წარადგინა არგუმენტირებული პოზიცია და არ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული გარკვეული რეკომენდაციები. რამდენიმე რეკომენდაცია დაწესებულებამ განიხილა რჩევად. პირველი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა კვლევის ჩატარებას კურსდამთავრებულთა თანამდებობრივი პოზიციის შესახებ, დაწესებულებამ აღიქვა, როგორც რჩევა და არა რეკომენდაცია, რადგან პროგრამის აკრედიტაციის მსვლელობისას უნივერსიტეტი ატარებს კურსდამთავრებულთა გამოკითხვას, რომლითაც განისაზღვრება, თუ რამდენი კურსდამთავრებულია დასაქმებული. უნივერსიტეტი მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა თანამდებობრივ პოზიციებთან დაკავშირებით კურსდამთავრებულთა კვლევის ჩატარებას.
თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ უსდ-მ ასევე რჩევად მიიჩნია მეცხრე რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ვებგვერდზე ძირითადი ინდიკატორების ინგლისურ ენაზე წარმოდგენას, დაწესებულება მას აღიქვამს, როგორც რჩევად და არა რეკომენდაციად. უნივერსიტეტი ამაზე იმსჯელებს და მონაცემებს განაახლებს, რათა ვებგვერდზე განთავსდეს.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ „მედიცინის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას ჰქონდა პირობით აკრედიტაცია. პროგრამას ჰქონდა მაღალი ინტეგრაციის ხარისხი, თუმცა მოხდა მისი დაწევა იქიდან გამომდინარე, რომ სტუდენტებს

ძალიან უჭირდათ მისი ათვისება მათი ზოგადი განათლების გათვალისწინებით და უნივერსიტეტისთვისაც რთული იყო მისი ადმინისტრირება. საჭირო გახდა დამატებითი სემინარების, ლექციებისა და კონსულტაციების ჩატარება, რომელზეც უნივერსიტეტი არასდროს არ ამბობს უარს. თამარ ტუფინაშვილის განმარტებით, რეალურად ასეთი რეკომენდაცია სამედიცინო სივრცეში ზოგადად არსებობდა და მისი მოსაზრებით, ინტეგრაციის ხარისხი არ იყო აუცილებელი ყოფილიყო მაღალი. მისი მოსაზრებით, მთავარია პროგრამა განხორციელდეს შესაბამისი ხარისხით, რათა სტუდენტმა მიიღოს ხარისხიანი განათლება და პროგრამამ უზრუნველყოს სტუდენტისთვის იმ ცოდნისა და უნარების გამომუშავება, რაც განსაზღვრულია დარგობრივი მახასიათებლით.

თამარ ტუფინაშვილმა არჩევითობის ბაზასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება მის განხორციელებას ისედაც აპირებდა მანამ, სანამ ექსპერტები რეკომენდაციას გასცემდნენ. პროგრამის განვითარებისათვის დაწესებულება აპირებდა სასწავლო გეგმისა და კურიკულუმის რუკის გადახედვას. მისი თქმით, ექსპერტმა განაცხადა, რომ „სამეცნიერო კვლევების და კლინიკური საგნების ურთიერთკავშირი არ დგინდება პროგრამაში“, თუმცა რეალურად პროგრამაში არის ტექნიკური ხარვეზი. კლინიკური საგნების წინაპირობა, როგორც ნარატივიდან იკითხება, არის კრიტიკული აზროვნება და არა ბიოსამედიცინო კვლევა ორი.

თამარ ტუფინაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ პროგრამა მთლიანად არის უზრუნველყოფილი აკადემიური პერსონალით. უნივერსიტეტმა ახლახან ჩაატარა კონკურსი, რომლითაც მოხდა დამატებითი პერსონალის აყვანა, როგორც შინაგანი მედიცინის მიმართულებით, მეანობა-გინეკოლოგიის, ისე ინფექციური დაავადებების მიმართულებით, რომლებიც ასოცირებული პროფესორების პოზიციაზე იყვნენ წარმოდგენილნი. ასევე ექსპერტთა რეკომენდაცია იყო, რომ სამედიცინო ფაკულტეტის მიმართ შემუშავდეს „ეთიკის კოდექსი“, რაზეც თამარ ტუფინაშვილმა განაცხადა, უპრობლემოდ შესაძლებელია ეთიკის კოდექსის შემუშავება უსდ-ს მხრიდან. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას ისედაც ჰქონდა ეთიკის კოდექსი, სადაც ზუსტად იყო განსაზღვრული უფლება-მოვალეობები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობები და ა.შ. თუმცა, მისი განმარტებით ახლო მომავალში ეთიკის კოდექსი შემუშავდებოდა სამედიცინო ფაკულტეტის მიმართაც.

თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დოკუმენტი, თუ როგორ ახერხებს უნივერსიტეტი სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასებას. მან ასევე აღნიშნა, რომ უსდ მუშაობდა ახალ დოკუმენტზე, რომელიც პერსონალის საქმიანობის შეფასებას გულისხმობდა და გეგმავდნენ უახლოეს მომავალში გაეტანათ დოკუმენტი აკადემიური საბჭოს სხდომაზე და მიმდინარე წლის სექტემბრიდან შესულიყო ძალაში და ის მიბმული იქნებოდა არამხოლოდ გამოქვეყნებების რაოდენობასთან, არამედ ნაშრომების ხარისხთანაც. მან დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია 56 აკადემიური და 32 მოწვეული პერსონალით, თუმცა ბოლო აკადემიური კონკურსის შედეგების საფუძველზე აკადემიური პერსონალის რაოდენობა კიდევ გაიზარდა.

თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული დიდი რაოდენობით კლინიკებთან. გარდა ამისა, დაწესებულებას ჰქონდა საკუთარი აფილირებული კლინიკა „Healthycore“-ი. სტუდენტებს ამ კუთხით არ ჰქონიათ არანაირი პრობლემა. მისი თქმით, ექსპერტების მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ დაწესებულებას ჰქონდეს სრული ინფორმაცია კლინიკების დატვირთვის თაობაზე. სემესტრის დაწყების წინ, დაწესებულება კლინიკას ოფიციალურად უგზავნის წერილს და უთანხმებს იმ გრაფიკს რა გრაფიკითაც დაიტვირთება (შესაძლებელია დაიტვირთოს) კლინიკა. სტუდენტები ადგილზე გადიან კლინიკურ სასწავლო კურსებს და აქვთ პაციენტებთან რეალური შეხება. უნივერსიტეტში კი გადიან პრეკლინიკურ საგნებს და ეუფლებიან კლინიკურ უნარ-ჩვევებს. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით სტუდენტს პაციენტთან რეალური შეხება აქვს ბოლო ეტაპზე, როდესაც ისინი გაივლიან დიფერენციალურ დიაგნოსტიკას შინაგან მედიცინაში, უროლოგიაში და გინეკოლოგიაში.

თამარ ტუფინაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ გარკვეული რეკომენდაციების რაოდენობა იმეორებდა ერთმანეთს. მაგალითად, რეკომენდაცია 2 და 27 იყო ერთნაირი შინაარსის რეკომენდაცია, თუმცა რეკომენდაციებს უნივერსიტეტი ეთანხმება და იზიარებს. გარდა ამისა, უკვე მიმდინარეობდა მუშაობა პერსონალის ტრენინგთან დაკავშირებით. ასევე, რეკომენდაცია 5 და 35 იმეორებს ერთმანეთს, რომელიც ეხება სასწავლო ლაბორატორიებს. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის ბაზისური მედიცინის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. დაწესებულებაში დაგეგმილია ზაფხულის პერიოდში სარემონტო სამუშაოები. რეკომენდაცია 13, 17, 19, 20, 21, 23, 36 და 37 ეხება კლინიკური უნარჩვევების ლაბორატორიას, რომელიც ბაზისურად ფარავს ერთმანეთს. უნივერსიტეტი ამ საკითხთან დაკავშირებით არგუმენტირებულ პოზიციაშიც მსჯელობს, თუმცა აღნიშნული საკითხი ვერ დადასტურდა ფაქტობრივი მასალით/ დოკუმენტაციით.
თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ სიმულაციური ცენტრის განახლების მიზნით, დაწესებულებამ ხელშეკრულება გააფორმა შპს „გრანდ მედიკალ ფემილისთან“ მულაჟების შეძენასთან დაკავშირებით, მაგრამ თანხის საბოლოო გადარიცხვა ჯერ არ მომხდარა. მისი განმარტებით უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა ანტიპლაგიატის სისტემა. სტუდენტები ყოველთვის არიან ინფორმირებულები პლაგიატისა და შესაძლო შედეგებთან დაკავშირებით. მესამე პირებისთვის ცნობილი ვერ იქნება თეზისი, საკონფერენციო მასალა, საბაკალავრო, სამაგისტრო თუ სადოქტორო ნაშრომი, სანამ არ გაივლიან ანტიპლაგიატის შემოწმებას. გარდა ამისა, აკრედიტაციის ვიზიტის შემდეგ მოხდა სტუდენტთა ინფორმირება უნივერსიტეტის, როგორც გაუმჯობესებულ, ისე გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ ვერტიკალურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, ვერტიკალური ინტეგრაცია, რომელიც დაწესებულებას გააჩნია საკმარისია, თუ ზოგიერთ ნაწილში დასაბალანსებელია. აკრედიტაციის ექსპერტმა, თამარ გოდერიძემ უპასუხა, რომ უნდა მოხდეს ამ ინტეგრაციის სწორად დაგეგმარება. მისი განმარტებით, დაწესებულებას არჩევითი საგნები იმავე სემესტრში ჰქონდა მითითებული, რომელშიც გადიოდნენ ძირითად საგნებს, მაგალითად, სასწავლო კურსი რადიოლოგიაში. შესაბამისად, საგნების სწორად გადანაწილებას უნდა დათმობოდა უფრო მეტი ყურადღება. აღნიშნულ საკითხზე, თამარ ტუფინაშვილმა განაცხადა, რომ რადიოლოგია არ წარმოადგენს კლინიკურ საგანს. მისი თქმით, ეს იყო ფუნდამენტური სასწავლო საგანი, რომლის სილაბუსის ავტორია ი.ბ. . თამარ ტუფინაშვილის განმარტებით, ეს საგანი არ უშლიდა ხელს იმავე სემესტრში სხვა საგნის სწავლებას.
აკრედიტაციის ექსპერტმა, ქეთევან კანკავამ აღნიშნა, რომ ვერტიკალური ინტეგრაციის ერთ-ერთ არასწორ მაგალითს წარმოადგენს ბიოსამედიცინო კვლევის და კრიტიკული აზროვნების კურსების ურთიერთკავშირი, რომელიც არ იყო გამოკვეთილი. თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ კლინიკური საგნების წინაპირობა არის კრიტიკული აზროვნება. შესაბამისად, მოხდება ყველა წინაპირობის გადახედვა და ხარვეზის გამოსწორება.
საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, როგორ ტარდება კრიტიკული აზროვნების კურსი და როგორ ხდება მისი შეფასება. საბჭოს წევრის თქმით, მე-10, მე-11 და მე-12 სემესტრებში უნივერსიტეტს წარმოდგენილი ჰქონდა სხვადასხვა მიმართულების დიფერენციული დიაგნოსტიკა, თუმცა სილაბუსებში არ იკვეთებოდა დიფერენციალური დიაგნოსტიკის შემდეგ, მართვისა და მკურნალობის სწავლება. მას აინტერესებდა, რა გახდა იმის მიზეზი, რომ სილაბუსებში არ არის მართვა და დიაგნოსტიკა. გარდა ამისა, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ ხდება შეფასება „Bedside-Teaching“ მეთოდით, რადგან ეს სასწავლო კურსის სილაბუსებში არ ჩანს. მე-11 სემესტრის სილაბუსში მეთოდებს შორის გამოიყენება „PBL“, რომელიც ცნობილია, როგორც პრეკლინიკური საბაზო

სწავლების მეთოდი. მას აინტერესებდა, რატომ იყენებდა უნივერსიტეტი პრეკლინიკურ საბაზო სწავლების მეთოდს - „PBL“-ს მე-6 კურსზე. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, თუ რამდენი კურსდამთავრებული აბარებს რეზიდენტურაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ სასურველი იქნებოდა კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩართულიყო პროგრამის ხელმძღვანელი დარგობრივი კომპეტენციების გათვალისწინებით, რა დროსაც გაირკვა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იმყოფებოდა ქუჩაში, რის გამოც ვერ ესწრებოდა აკრედიტაციის საბჭოს სხდომას.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, თამარ ტუფინაშვილმა გამოთქვა მზაობა, რომ შესაძლებლობების ფარგლებში თავად ეპასუხა არსებული შეკითხვებისთვის.

თამარ ტუფინაშვილმა უპასუხა, რომ ბოლო წლების გამოკითხვების შედეგად კურსდამთავრებულთა 73% გადის საკვალიფიკაციო გამოცდაზე. წინა წლების მონაცემებით, ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო იმიტომ, რომ რეზიდენტურის როგორც ადგილებთან, ისე ფასებთან დაკავშირებით იყო გარკვეული პრობლემები. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 71% წარმატებით ირიცხება რეზიდენტურაზე. „PBL“-თან დაკავშირებით თამარ ტუფინაშვილმა განაცხადა, რომ მე-6 კურსზე არ უნდა იყოს აღნიშნული მეთოდი გამოყენებული. შესაბამისად, დაწესებულება გადახედავს სილაბუსებს და „PBL“ მაგივრად „CBL“ ჩაასწორებს. ხათუნა თოდაძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ როგორც „PBL“, ისე „CBL“ მოცემულია სილაბუსებში. თამარ ტუფინაშვილმა უპასუხა, რომ მოხდება სილაბუსების რედაქტირება და ხარვეზის აღმოფხვრა.
ხათუნა თოდაძის მოსაზრებით, სტუდენტის მიერ მე-4 კურსზე ნასწავლი ფუნქციონალური დიაგნოსტიკა არ გამორიცხავს შემდეგ კურსზე სწავლას გაიდლაინების მიხედვით. „კრიტიკული აზროვნებას“ არ ითვალისწინებს პროგრამა, რომელიც წარმოადგენს კლინიკური საგნების წინაპირობად. „კრიტიკული აზროვნება“ სტუდენტს გამოუმუშავებს კრიტიკულ და ლოგიკურ აზროვნებას, მოამზადებს დებატებისათვის და ა.შ. შესაბამისად, ხათუნა თოდაძემ დამაზუსტებელი კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, მომზადებული აქვს თუ არა უნივერსიტეტს სავარჯიშოები, რომლებიც გამოუმუშავებს და ასწავლის კრიტიკულ აზროვნებას სტუდენტებს. მაგალითად, არსებობს „შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება“, რომელიც გამოიყენება სამედიცინო მიმართულების პროგრამებში და მკაცრად სტრუქტურირებულია.
საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ ასევე კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მან განაცხადა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია შემდეგი შინაარსისაა: „დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საკუთარი და კვლევითი ლაბორატორიები სათანადოდ აღჭურვილი“. მას აინტერესებდა, სად ახორციელებს უნივერსიტეტი იმ საქმიანობას, რომელსაც ასეთი ლაბორატორიები სჭირდება. გარდა ამისა, სწავლობენ თუ არა პროგრამაზე საერთაშორისო სტუდენტები და რა პროცენტს შეადგენს მთლიანი კონტინგენტის. თამარ ტუფინაშვილმა უპასუხა, რომ აკრედიტაციის დოკუმენტების შემუშავების დროს სტუდენტთა რაოდენობა შეადგენდა 603-ს, ხოლო ახლა შეადგენს 589 აქტიური სტატუსის მქონე ადგილობრივ სტუდენტს. საერთაშორისო სტუდენტები „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე არ არიან. თამარ ტუფინაშვილის განცხადეით, დაწესებულებას სტუდენტების რაოდენობა მოთხოვნილი აქვს 700 ადგილით, რადგან არსებული რაოდენობიდან 100 სტუდენტი ასრულებს პროგრამას, ხოლო მიღება კი გამოცხადებული აქვს უნივერსიტეტს 130 სტუდენტზე. მან ასევე განმარტა, რომ უნივერსიტეტს აქვს ლაბორატორია, რომელიც ბაზისურ უნარ-ჩვევებს გამოუმუშავებს სტუდენტს, თუმცა გასაუმჯობესებელია. უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ივანე ბერიტაშვილის სახელობის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრთან და ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტთან სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის მიზნით.

საბჭოს წევრმა, მაია ბიწკინაშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ კლინიკური უნარები ისწავლება მხოლოდ 3 კრედიტის ოდენობით 6 წლის განმავლობაში, თუმცა დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად ის უნდა იყოს 10 კრედიტი. მას აინტერესებდა, არის თუ არა კლინიკური უნარების შესწავლა გადანაწილებული სხვადასხვა საგნებში. ასევე, უნივერსიტეტი გეგმავს თუ არა, გაზარდოს 3 კრედიტი 10 კრედიტამდე. გარდა ამისა, რა როლი აქვს ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტს სტუდენტების კვლევის ჩართულობაში. თამარ ტუფინაშვილმა უპასუხა, რომ სტუდენტები მორფოლოგიის ინსტიტუტში მათ პერსონალთან ერთად მონაწილეობას იღებენ სამეცნიერო კვლევით აქტივობებში. თამარ ტუფინაშვილმა ასევე განმარტა, რომ კლინიკური უნარები ისწავლება 17 კრედიტის ოდენობით, რომელიც გადანაწილებულია სხვადასხვა სასწავლო კურსებში. კლინიკური უნარ-ჩვევები ისწავლება შემდეგ საგნებში: „შესავალი კლინიკურ მედიცინა 1“, „შესავალი კლინიკური მედიცინა 2“ და „ზოგადი ქირურგია“.

საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს პორტფოლიოსთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ რეკომენდაცია შემდეგი შინაარსით არის წარმოდგენილი: „პორტფოლიო გამოყენებულ უნდა იყოს აქტიურ მეთოდად“. მას აინტერესებდა, რა სახის პროტფოლიოსთან არის გაცემული რეკომენდაცია. მისი თქმით, პირობითი აკრედიტაციის დროს პორტფოლიოსთან დაკავშირებით არ იყო გაცემული რეკომენდაცია. გარდა ამისა, როგორია სტუდენტების დამოკიდებულება ამ პროგრამის მიმართ განვითარებული პროცესებისადმი. ასევე, რა სახის ღონისძიებებს ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის დახმარებისთვის. ექსპერტმა, ქეთევან კანკავამ უპასუხა, რომ პორტფოლიოსთან დაკავშირებით ინფორმაცია მოცემულია პროგრამის აღწერილობით ნაწილში. მისი თქმით, სტუდენტის აკადემიურ მიღწევებს, მათ სუსტ და ძლიერი მხარეებს, აქტივობებს და ა.შ. პორტფოლიო არ მოიცვას. სწავლის შეფასების გეგმაში პორტფოლიო არ არის მოყვანილი, როგორც შედეგის შეფასების რაიმე კომპონენტი. ის ფიგურირებს მხოლოდ პროგრამის აღწერილობით ნაწილში და ისიც მხოლოდ პროფესიონალიზმისა და ექსტრაკურიკულური აქტივობების შესაფასებელი მექანიზმის თვალსაზრისით. შესაბამისად, ექსპერტის განმარტებით, ამ ეტაპზე პორტფოლიო არ არსებობს, არც ფურცელზე დაწერილი და არც ელექტრონული სახით, რაც დაწესებულების მიერ იმით აიხსნება, რომ ეს არის ახალი პროგრამის კომპონენტი და არა იმ პროგრამის, რომელიც ამ ეტაპზე აქტიურია. ქეთევან კანკავას განმარტებით, კითხვები ამ საკითხთან დაკავშირებით დაისვა, როგორც სტუდენტებთან, ისე აკადემიურ პერსონალთან, თუმცა კომპეტენტური პასუხები არ იქნა მიღებული. გარდა ამისა, სტუდენტები დიდწილად გაცვითნობიერებულიც არ იყვნენ, თუ რას გულისხმობს პორტფოლიო. თამარ ტუფინაშვილმა განაცხადა, რომ პორტფოლიო არის ახალი პროგრამის კომპონენტი, რომელიც შემოღებული იქნა ექსტრაკურიკულური აქტივობებისთვის. სილაბუსები მოიცავს ე.წ Check List-ებს. პორტფოლიოს დატვირთვა განსხვავდება დასაწყის კურსებზე სწავლების დროს. თუ სტუდენტი დაბალ კურსზე ფასდება 20 კომპონენტში, კერძოდ რამდენად ესწრებოდა ლექციებს, როგორი მომზადებული იყო სემინარზე და ა.შ. მაღალ კურსზე პორტფოლიოს „ჩეკლისტებში“ კი მოცემულია კოლეგების პატივისცემა, პაციენტის მიმართ ემპათია, შინაგანაწესის დაცვა კლინიკაში და ა.შ. ეს შეფასება დაწესებულებამ შემოიღო პროფესიონალიზმის შესაფასებლად. გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გამოცდაზე დასაშვები მინიმალური ზღვარი დადგენილია.

ექსპერტმა, თამარ გოდერიძემ აღნიშნა, რომ სტუდენტებს სურვილი აქვთ მეტი წვდომა ჰქონდეთ გაცვლით პროგრამებთან და კვლევით კომპონენტში. თამარ ტუფინაშვილმა განაცხადა, რომ 2018 წლიდან სდასუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსია. უნივერსიტეტს 1200 სტუდენტი ჰყავს და დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს დანერგოს განათლების ხარისხის კულტურა. ტარდება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით გამოკითხვები, კმაყოფილების კვლევა, ბიბლიოთეკასთან და მატერიალურ ტექნიკურ რესურსთან დაკავშირებით საჭიროებების დადგენა. ასევე, მაღალკურსელებთან

ტარდება „Online” შეხვედრები. შესაბამისად, უნივერსიტეტმა მუდმივად იცის რა სჭირდებათ სტუდენტებს.
საბჭოს წევრმა, ნათია სხვიტარიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, იყო თუ არა შესრულებული მე-20, 21-ე და 22-ე რეკომენდაციები.
როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლმა განმარტა, რომ დაწესებულება აღჭურვილია სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის ჩასატარებლად შესაბამისი 10 სადგურით. თუმცა, „OSCE“-თან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის ქართულ ვერსიაში არის ტექნიკური ხარვეზი, ხოლო ინგლისური ვერსია ითვალისწინებს გამოცდის ჩასატარებელ 10 სადგურს. ქეთევან კანკავამ განაცხადა, რომ გარდა დოკუმენტური ნაწილისა, ინფრასტრუქტურული კუთხითაც, ვიზუალური დათვალიერებით ეჭვს ბადებს 10 სადგურის არსებობა. ამ ეტაპზე კლინიკური უნარების ცენტრს დათმობილი აქვს ერთი დიდი ოთახი, სადაც რამდენიმე სადგურად დაყოფის შემთხვევაშიც კი (შირმებით გადატიხვრა), შეუძლებელია 10 სადგურის განთავსება. ამასთან, ქეთევან კანკავას მოსაზრებით, ის დავალებები, რომლებიც განკუთვნილია გინეკოლოგიის დარგისთვის, OSCE სადგურებისათვის არასაკმარისია და არ არის გათვლილი 10 სადგურისათვის. ამასთან აღსანიშნავია, რომ ახალი პროგრამისთვის ჯერ არ არის გამზადებული OSCE გამოცდის სადგურების დავალებები.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, აქვს თუ არა უნივერსიტეტს ინფორმაცია ჯანდაცვის სამინისტროდან საკვალიფიკაციო გამოცდას რეზიდენტურაში სტუდენტთა რამდენი პროცენტი აბარებს. თამარ ტუფინაშვილმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტს ჯანდაცვის სამინისტროდან არ გამოუთხოვია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რეზიდენტურაში სტუდენტთა რამდენი პროცენტი ირიცხება. საბჭოს წევრმა ხათუნა ზალდასტანიშვილმა აღნიშნა, რომ რეზიდენტურაში ჩარიცხულთა სიები ქვეყნდება მაშინ, როდესაც საბჭო დაამტკიცებს კურსდამთავრებულთა შედეგებს. ეს სიები არ არის კონფიდენციალური. ის არის საჯარო და ხელმისაწვდომი. ვინც მოითხოვს რეზიდენტურაში სტუდენტთა ჩარიცხვის რაოდენობის შესახებ ინფორმაციას, მომართვის შემდეგ, გადაეგზავნება აღნიშნული სია.
საბჭოს წევრმა, ლევან რატიანმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ვინ არის ანესთეზიის, რეანიმაციასა და ტოქსიკოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი და რომელ ბაზაზე ტარდება აღნიშნული დისციპლინები. თამარ ტუფინაშვილმა უპასუხა, რომ ეს სასწავლო კურსი მიჰყავს მოწვეულ ლექტორს - ლ.ჯ., რომელიც არის გულიკო ჩაფიძის კლინიკის რეანიმაციის ხელმძღვანელი, ხოლო ნ.ლ. ტოქსიკოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელია, თუმცა სილაბუსში არ არის მითითებული. გარდა ამისა, საბჭოს წევრი ლევან რატიანი დაინტერესდა, თუ რამდენი მანიპულაცია ჩაუტარებია სტუდენტს პროგრამაზე სწავლის დროს. მისი თქმით, გულიკო ჩაფიძის ცენტრი წარმოადგენს ვიწრო პროფილს, რომელსაც რეანიმაციული დეპარტამენტი არ აქვს. თამარ ტუფინაშვილმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტი აღნიშნულ საკითხს გაითვალისწინებდა. თამარ ტუფინაშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მედიცინის დარგის სპეციალისტი არ არის, თუმცა ჩართულია აკრედიტაციის პროცესში. უნივერსიტეტი გაითვალისწინებს ექსპერტების მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას და ხანმოკლე პერიოდში გამოასწორებს ყველა ხარვეზს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 17:02
დასრულების დრო: 17:55

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული შეფასება და რეკომენდაციები. საბჭოს ძირითადი და მოწვეული წევრების მოსაზრებით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში არსებული რეკომენდაციები იყო არსებითი მნიშვნელობის, განსაკუთრებით სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, ასევე რეკომენდაციები, რომელიც ეხებოდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამართულობას. ვინაიდან, საკითხი ეხებოდა

მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას, ლაბორატორიაში, კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში აღჭურვილობის სრულყოფილად ქონა იყო არსებითად მნიშვნელოვანი. ამასთან, ხაზგასასმელი იყო ის გარემოება, რომ 2021 წელსაც, როდესაც პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია, ფიქსირდებოდა იმ რეკომენდაციების ნაწილი, რომელზეც საუბარი იყო ბოლო, მიმდინარე შეფასების ფარგლებშიც.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის 1^1 პუნქტის თანახმად, პირობითი აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო პროგრამის მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 31
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ, აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის 3^2 პუნქტის საფუძველზე, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა, თუ როდის ასრულებდნენ მიმდინარე სასწავლო სემესტრს პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები. თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტები მიმდინარე სასწავლო სემესტრს ასრულებდნენ 2023 წლის 22 ივლისს. საბჭოს თავმჯდომარისა და ყველა წევრის განმარტებით, სტუდენტთა ინტერესების დაცვის მიზნით, მიზანშეწონილი იყო, რომ 2023 წლის 27 ივნისიდან 10 აგვისტომდე, პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს მისცემოდათ შესაძლებლობა სასწავლო პროცესი დაესრულებინათ აკრედიტებულ რეჟიმში.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის, მე-6 და მე-8 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-6 და მე-11 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-2, 3^2 და მე-5 პუნქტების, 27^6 მუხლ ის 1^1 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე. ,,მედიცინის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, აკრედიტაციის დარჩენილი ვადის მიუხედავად, სტუდენტებს მიეცეთ უფლება მიმდინარე სასწავლო სემესტრი - 2023 წლის 27 ივნისიდან 2023 წლის 10 აგვისტომდე დაასრულონ აკრედიტებულ რეჟიმში.

საბჭოს წევრებმა სრულად გაიზიარეს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება, შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ განისაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა უნდა დაიწყოს კურსდამთავრებულთა შემდგომი გამოკითხვები ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მეშვეობით, პროგრამის შედეგების (კარიერული სფერო და თანამდებობა) მონიტორინგის მიზნით. ამან შეიძლება გააძლიეროს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და უზრუნველყოს ეფექტური მარკეტინგული სტრატეგია.
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს პერსონალის სავალდებულო ტრენინგი სილაბუსებში ჩამოთვლილ სწავლების მეთოდოლოგიაზე.
- გაუმჯობესდეს რეალურ პაციენტებთან სტუდენტების რეალური კლინიკური სწავლების რაოდენობა და თანმიმდევრულობა.
- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სამედიცინო სფეროსათვის მისაღები ეთიკის კოდექსი. ეს უნდა იყოს კლინიკური და სამედიცინო კომუნიკაციის კურსების მნიშვნელოვანი ნაწილი. ის უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი საუნივერსიტეტო საზოგადოების ყველა წევრისთვის ვებგვერდის საშუალებით.
- დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საკუთარი სასწავლო და კვლევითი ლაბორატორია, ადეკვატურად აღჭურვილი, სამეცნიერო კვლევის კომპონენტის გათვალისწინებით.
- პრეკლინიკურ კურსებში და სიმულაციური ტრენინგის დროს შეძენილი პროცედურული და კომუნიკაციის უნარები უნდა იყოს ინტეგრირებული კლინიკურ სასწავლო გეგმაში სამივე დონეზე (გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება). ამ შემთხვევაში საჭირო იქნება სასწავლო გეგმის გადახედვა და შეცვლა.
- უნდა გაიზარდოს პროგრამის ვერტიკალური ინტეგრაცია.
- უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს მკაფიო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთკავშირს სამედიცინო განათლებასა და კვლევებს შორის. გეგმები უნდა დაისახოს სამეცნიერო სტრატეგიაში. სამეცნიერო სტრატეგია ასევე მკაფიოდ უნდა ითვალისწინებდეს პროგრამის ადამიანური რესურსების განვითარების საჭიროებებს.
- სამუშაოს შესრულების ძირითადი ინდიკატორები უნდა იყოს ინგლისურ ენაზე და გამოქვეყნებული ვებგვერდზე.
- მეტი აქცენტი და დრო უნდა დაეთმოს ბოლო სემესტრებში (VI წელი) კლინიკურ როტაციებსა და პრაქტიკულ სამედიცინო სამუშაოების განხორციელებას ზედამხედველობის ქვეშ.
- უნდა განისაზღვროს ზედამხედველობის წესები, კლინიკურ საგნებში ჩართული კლინიკური დამრიგებლების შერჩევის კრიტერიუმები პასუხისმგებლობებთან და სწავლების ხარისხის კონტროლის მექანიზმებთან ერთად.
- უსდ-მ უზრუნველყოს კლინიკური უნარების სწავლება დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად; მიმდინარე საორიენტაციო დოკუმენტით მოთხოვნილი სწავლის მეთოდოლოგიები გათვალისწინებული იყოს პროგრამის აღწერაში, სილაბუსებში და რაც მთავარია რეალურ პრაქტიკაში.
- უსდ-მ უნდა უზრუნველყოს, საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არსებობა სილაბუსებსა და დარგობრივ მახასიათებელში ჩამოთვლილი პრაქტიკული უნარების სწავლებისათვის.
- უსდ-მ უზრუნველყოს პროგრამის აღწერილობითი ნაწილის შესაბამისობა სილაბუსების შინაარსთან და რამდენადაც ადრეული კლინიკური მიდგომაა გათვალისწინებული, უზრუნველყოს ასევე მისი ხაზგასმა სილაბუსებში და მისი განხორციელება პრაქტიკაში.
- განახლდეს ლიტერატურის ჩამონათვალი სილაბუსებში, თუ ჰენდაუთები ფართოდ გამოიყენება, უსდ-მ უზრუნველყოს ჰენდაუთების შინაარსის სათანადო ხარისხის კონტროლი, რათა სასწავლო მასალა შეესაბამებოდეს მისაღწევ სწავლის შედეგებს.
- უსდ-მ უზრუნველყოს არჩევითი საგნების მრავალფეროვნება და გაზარდოს მათი თანაფარდობა სემესტრების განმავლობაში.

- გაუმჯობესდეს კლინიკური უნარების ცენტრის საქმიანობის ეფექტიანობა.
- უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია კლინიკური მოდულების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო ცენტრის/კლინიკის შესახებ, ასევე ცხრილი/გრაფიკი კონკრეტული სასწავლო კურსის განმავლობაში სტუდენტთა რაოდენობის ერთდროულად მიღების შესაძლებლობის შესახებ.
- რეკომენდებულია უნარების ცენტრში დასაქმდეს სპეციალისტი საგანმანათლებლო მენეჯერი/ასისტენტი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მუდმივ მხარდაჭერას.
- უსდ-მ დაისახოს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) განხორციელების რეალისტური გეგმა - ოთახების, აღჭურვილობისა და პერსონალის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.
- გაიზარდოს აღჭურვილობის მრავალფეროვნება და ხარისხი კლინიკური უნარების ლაბორატორიაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს OSCE-ს ჩატარება დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად.
- დაიგეგმოს OSCE ისე, რომ შეიცავდეს მინიმუმ 10 სადგურს.
- უსდ-მ უზრუნველყოს, რომ დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული კრიტიკული უნარები სათანადოდ არის შეფასებული.
- უსდ სიფრთხილით მოეკიდოს იმას, თუ როგორ აისახება სტუდენტთა კოლეგიალური შეფასება, მათ საერთო შეფასებაში.
- პორტფოლიო, რომელიც ასახავს სტუდენტების საერთო აკადემიურ და არააკადემიურ მიღწევებს და გამოიყენება ხარვეზების ანალიზისა და გაუმჯობესების წყაროდ, იქცეს სტუდენტების შეფასების მნიშვნელოვან ნაწილად.
- მეტი ყურადღება დაეთმოს კვლევას და აკადემიურ ეთიკას ბიოსამედიცინო კვლევის სწავლებისა და შეფასებისას.
- უსდ-მ უზრუნველყოს, რომ პედაგოგიურ პერსონალს ჰქონდეს საკმარისი გამოცდილება და ტრენინგი გავლილი პროგრამაში აღწერილი სწავლებისა და შეფასების მეთოდების გამოსაყენებლად.
- უსდ-მ უზრუნველყოს თითოეულ კურსში/საგანში საკმარისი პერსონალის არსებობა დარგის სპეციფიკური ცოდნით.
- უსდ-მ შეიტანოს პროგრამის შესაძლებლობებთან დაკავშირებული მეტი მონაცემი პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში.
- რეკომენდებულია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი სრულად იყოს ჩართული პროგრამის დიზაინის, განხორციელებისა და ხარისხის კონტროლის ყველა ასპექტში.
- უსდ-მ უზრუნველყოს პერსონალის დატვირთვის რეგულარულად განახლება ხარისხის მართვის სიტემის (QMS) პლატფორმაზე.
- უნდა გაიწეროს სქემატური გეგმები, რათა ხელი შეეწყოს კონკურენტუნარიან სამეცნიერო საქმიანობას და საუკეთესო/წარმატებული კვლევითი მიღწევების აღიარებას რაოდენობრივი პარამეტრების და თვისებრივი აღმწერების (საიენტომეტრიკა, ინდიკატორები) გამოყენებით. განსაზღვრული სტრატეგიები უნდა განხორციელდეს საქმიანობაში.
- საჭიროა მეტი ინტერნაციონალიზაცია პერსონალის/სტუდენტების მობილობის აქტიური მხარდაჭერით.
- უნივერსიტეტში სტუდენტების კომფორტის დონის ამაღლების მიზნით გაუმჯობესდეს სასწავლო სივრცეების ინფრასტრუქტურა.
- განხორციელდეს სასწავლო ლაბორატორიების მოდერნიზება. განახლდეს არსებული ობიექტები სპეციფიური აღჭურვილობით, საჩვენებელი ხელსაწყოებითა და მასალებით, რომლებიც შეესაბამება სწავლების საგნებს და ამ საგნებში მითითებულ სწავლის შედეგებს.

- უნარ-ჩვევების ცენტრის არსებული ტექნიკური ფონი უნდა გაუმჯობესდეს და შემდგომ განვითარდეს დიაგნოსტიკური და ტექნიკური/ინტერვენციული შესაძლებლობებით.
- გამოიყოს სახსრები უნარ-ჩვევების ცენტრის ინტერნაციონალიზაციისა და საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
- საკმარისი დეტალებითა და სიღრმისეულად ეცნობოს პროგრამის ყველა მონაწილეს პერსონალის შეფასების მექანიზმის დეტალები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები.
- ჩატარდეს კმაყოფილების შემსწავლელი გამოკითხვები, პროგრამის შედეგების პერიოდული მონიტორინგით და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს სტრატეგიების გადახედვა სათანადო ცვლილებების მხარდასაჭერად.
- გარე შეფასება უნდა დაიგეგმოს საქართველოში აკრედიტებულ უნივერსიტეტებთან ან სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით.
- განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების არაპირდაპირი მეთოდები, მათ შორის დაინტერესებული მხარეების - კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვა.

3. მესამე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერისტეტის ,,ტურიზმის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი/Tourism
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	17.10.2011, გადაწყვეტილება №117
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ტურიზმი/Tourism
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ტურიზმის ბაკალავრი/Bachelor of Tourism
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება 1015
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი, 21,

		XVIII კორპუსი, ქუთაისი, 4600 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი/Tourism
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ტურიზმი/Tourism
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ტურიზმის მაგისტრი/Master of Tourism
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება 1015
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი, 21, XVIII კორპუსი, ქუთაისი, 4600 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელებმა დაადასტურა, რომ იცნობდნენა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები:
საბაკალავრო პროგრამისთვის რეკომენდირებულია:

- დამატებით პროგრამებში შეთავაზებულ იქნას არჩევითი კურსები;
- უფრო მეტ სემესტრში ისწავლებოდეს ინგლისური;
- განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა და სახელმძღვანელოები კურსების სილაბუსებში (ტურიზმის საფუძვლები, საქართველოს ტურიზმის რეკრეაციული რესურსები, პროფესიული ეთიკა და ეტიკეტი, გიდი და ექსკურსია, ტურიზმის ეკონომიკა, ტურიზმის მენეჯმენტი, სასტუმროს მენეჯმენტი, სატრანსპორტო სერვისი ტურიზმში, ტურიზმის რელამა, საინფორმაციო სისტემები ტურიზმში);
- განისაზღვროს „საქართველოს მატერიალურ-კულტურული ძეგლები“-ს კურსის ფარგლებში სავალდებულო ლიტერატურის ოდენობა.

სამაგისტრო პროგრამისთვის ასევე საჭიროა:

- ძირითადი კურსები, უმჯობესია, მოიცავდეს მარკეტინგის სტრატეგიებს;
- განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა და სახელმძღვანელოები კურსების სილაბუსებში (მდგრადი ტურიზმის განვითარება, ადგილობრივი და რეგიონული ტურიზმის დაგეგმვა);
- რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანამანთლებლო დაწესებულებამ წარმოადგინოს დაწესებულების და პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ნათლად აჩვენებს პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმს.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
უცხოელი ექსპერტი წერილში აღნიშნავს, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა „მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება“ კლასტერში გაერთიანებული ორი პროგრამა, კერძოდ ,,ტურიზმის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები. შეფასება განხორციელდა 9 და 10 მაისს. ექსპერტებმა მიიღეს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და განახორციელეს ინტერვიუები პროგრამის წარმომადგენლებთან და პროგრამასთან დაკავშირებულ ყველა დაინტერესებულ მხარესთან. შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ ორივე პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. უნივერსიტეტის და კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ხელმძღვანელობა საქმის კურსშია პროგრამის მიმართ გარკვეული სუსტი მხარეების შესახებ, რომელსაც ეთანხმება დაწესებულება. პროგრამის მიმართ გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა. საბაკალავრო პროგრამის მიმართ რეკომენდაციები ეხებოდა დამატებით პროგრამაში არჩევითი კურსების გათვალისწინებას, ინგლისური ენის სწავლებას უფრო მეტ სემესტრში, სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის და სახელმძღვანელოების განახლებას, კერძოდ „ტურიზმის საფუძვლებში“, „ტურიზმის სარეკრეაციო რესურსების საქართველოში“, „პროფესიულ ეთიკასა და ეტიკეტში“, „ტურიზმის ეკონომიკაში“, „ტურიზმის მენეჯმენტში“, „სასტუმრო მენეჯმენტში“, „სატრანსპორტო სერვისების ტურიზმში“, „ტურიზმის რეკლამაში“ და „საინფორმაციო სისტემების ტურიზმში“. გარდა ამისა, საქართველოს მატერიალური კულტურული ძეგლების კურსში უნდა განისაზღვროს სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობა. სამაგისტრო პროგრამის მიმართ რეკომენდაციები ეხებოდა ძირითად კურსებში გათვალისწინებული იყოს მარკეტინგის, სტრატეგიის საკითხები, განახლდეს ლიტერატურა და სახელმძღვანელოები სილაბუსებში, კერძოდ „მდგრადი ტურიზმის განვითარებაში“ და „ადგილობრივ და რეგიონულ

ტურიზმის დაგეგმვაში“. გარდა ამისა, დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს ინსტიტუციისა და პროგრამის ბიუჯეტი, რომელშიც ნათლად იქნება ასახული პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, თეა კორძაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებს ექსპერტების მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას და ახლო მომავალში გამოასწორებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ ერთ-ერთ რეკომენდაციაში წერია შემდეგი რამ: „უფრო მეტ სემესტრში ისწავლებოდეს ინგლისური“. მას აინტერესებდა, უნდა ყოფილიყო თუ არა მოცემული ჩანაწერი შემდეგი ფორმულირებით: „ინგლისური ენის სწავლებისათვის გამოყოფილი უნდა იყოს მეტი კრედიტი“. ექსპერტმა, ვალერი არღუთაშვილმა უპასუხა, რომ სასურველია მეტი კრედიტით იყოს წარმოდგენილი უცხო ენა პროგრამაში. გოდერძი ბუჩაშვილს აინტერესებდა, არის თუ არა განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა. ვალერი არღუთაშვილმა უპასუხა, რომ 10 კრედიტის ფარგლებში უნდა მოხდეს უცხო ენის კურსის დამატება. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენი კრედიტი აქვს დათმობილი ინგლისური ენის კურსს თითოეულ სემესტრში. თეა კორძაძემ უპასუხა, რომ 15 კრედიტი ეთმობა ინგლისურ ენას, ხოლო 5 კრედიტი დარგობრივს. უნივერსიტეტი აპირებს კიდევ 5 კრედიტის დამატებას. 4 სემესტრი დაეთმობა ინგლისურ ენის შესწავლას 20 კრედიტით, ხოლო დარგობრივს 5 კრედიტი. საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას საბაკალავრო პროგრამის მიმართ ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებასთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტი საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებში აღნიშნავს, რომ განიხილავს სასტუმროების ფინანსურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სამართლებრივ მდგომარეობას. ეს სწავლის შედეგი არის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნა, რომელიც განეკუთვნება ტურიზმის დარგს და არა სასტუმროების მიმართულებას. მას აინტერესებდა, საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგებში მოცემული ჩანაწერი სასტუმროების მიმართ წარმოადგენს თუ არა ხარვეზს. გარდა ამისა, დარგობრივი მახასიათებელი მოითხოვს, რომ კურსდამთავრებულმა შეძლოს განხილვა ეკოლოგიური საკითხების. უნივერსიტეტს ეკოლოგია და გარემოს დაცვა აქვს არჩევით სასწავლო კურსების ჩამონათვალში. მას აინტერესებდა, რა არის ამის მიზეზი და დაწესებულებამ რატომ ჩათვალა მიზანშეწონილად, რომ ბუღალტრული აღრიცხვა იყოს თავისუფალ კურსებში და არა ძირითადში. მამუკა ხუსკივაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას სამაგისტრო პროგრამის მიმართ ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, დაწესებულება რა სასწავლო კურსებით ახდენს კურსდამთავრებულებისათვის დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ ისეთ სწავლის შედეგზე გასვლას როგორიც არის ბიზნეს პროცესების და სამართლებრივი რეგულაციების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირება. გარდა ამისა, რატომ ჰქვია საგანს „ტურისტული დესტინაციის განვითარება“ და არა „ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარება“. კარგი იქნება თუ დაწესებულება გამოიყენებს „ტურისტული დანიშნულების ადგილს“ და არა „დესტინაციას“. დაწესებულების წარმომადგენელმა, ნანა შარაბიძემ უპასუხა, რომ უნივერსიტეტი განიხილავს ამ საკითხებს დარგობრივ მახასიათებელთან მიმართებაში, თუმცა სასტუმროები სწავლის შედეგებში გამოკვეთილია იმიტომ, რომ ეს პროგრამა წარმოადგენს ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას და კურსდამთავრებულები ძირითადად დასაქმებული არიან სასტუმრო და განთავსების ინდუსტრიის მიმართულებით. როდესაც პროგრამამ შეიცვალა

კვალიფიკაცია, ადმინისტრირების სასწავლო კურსები გადავიდა არჩევით სასწავლო კურსების ჩამონათვალში, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაინტერესებული სტუდენტი ამ საგნებს ვერ შეისწავლის. ძირითადი აქცენტები გაკეთდა ტურისტული საკითხების კვლევასა და შესწავლაზე. სტუდენტი ყველა ტურისტული ობიექტების საქმიანობას სწავლობს ცალ-ცალკე სილაბუსების სახით. შესაბამისად, ბუღალტრული აღრიცხვის გადატანა მოხდა არჩევით ბლოკში. იზოლდა ხასაიამ სამაგისტრო პროგრამის მიმართ გაცემულ შეკითხვებს უპასუხა. მან განაცხადა, რომ რამდენიმე საგანია ისეთი, რომელიც გადის დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ შედეგზე, კერძოდ „ღონისძიებების მენეჯმენტი“, „დაზღვევა და უსაფრთხოება ტურიზმში“, „საერთაშორისო ტურიზმი“, „ფინანსური მენეჯმენტი ტურიზმში“, „ტურისტული ადგილის განვითარება“, და „სამაგისტრო ნაშრომი“. „ტურისტული დესტინაციის განვითარება“ საგნის სახელწოდების მოკლე ვარიანტია. გარდა ამისა, ამ სახელწოდებას ყველა იყენებს, თუმცა ახლო მომავალში შეიცვლება „ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარებით“. საბჭოს წევრმა, ნინო ღაღანიძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მან განაცხადა, რომ საქართველოს მატერიალური კულტურული ძეგლების კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს ქართული კულტურული ძეგლები უძველესი დროიდან XX-ე საუკუნის ჩათვლით. სავალდებულო ლიტერატურაში არცერთი ნაშრომი არ არის გარდა არქიტექტურისა, რომელიც გააცნობს ქართული ხელოვნების და მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ სტუდენტს. მას აინტერესებდა, რით აიხსნება ის საკითხი, რომ სავალდებულო ლიტერატურაში არცერთი ნაშრომი არ არის ქართული ხელოვნების და მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ. ნანა შარაბიძემ უპასუხა, რომ ექსპერტის მიერ გაცემულ რეკომენდაციას ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით იზიარებს დაწესებულება. ლიტერატურათა ნაწილი განახლებულია, თუმცა სილაბუსებში არ არის შეტანილი. გარდა ამისა, საქართველოს მატერიალური კულტურული ძეგლების კურსშიც მოხდება ცვლილებები და დაემატება ახალი ლიტერატურა. საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ბაკალავრიატის სტუდენტები რამდენად კარგად ფლობენ უცხო ენას იმისათვის, რომ შეძლონ ტურიზმის ეროვნულ და რეგიონულ დაგეგმარების კურსში მითითებული მასალის ათვისება. გარდა ამისა, „ინოვაციების ტურიზმის“ კურსში რატომ არ არის მითითებული შესაბამისი აქტივობა, თემატიკა და პრაქტიკული სამუშაო გაწერილი, რომელიც სტუდენტს გაიყვანს შედეგს, კერძოდ განახორციელებს პროექტს და მისი რეალიზაციის გეგმას. ასევე, „გიდი და საექსკურსიო საქმიანობის“ კურსის სილაბუსში არ ჩანს თუ როგორ ამზადებს სტუდენტი საექსპედიციო ტექსტს და როგორ ატარებს ტურს. მას აინტერესებ, როგორ გადის სტუდენტი ამ შედეგებზე. გარდა ამისა, სტუდენტი სწავლობს თუ არ ისეთ კურსს, რომელიც სამართლებრივ საკითხებს შეასწავლის ტურიზმში. ასევე, სტუდენტი პრაქტიკის თუ საბაკალავრო ნაშრომის დაცვას ახორციელებს იმისათვის, რომ დარგობრივ მახასიათებელთან იყოს შესაბამისობაში. ერმილე მესხიას აინტერესებდა, როგორ რეგულირდება პერსონალის მიერ მომზადებული ლექციების კურსის მოქმედებაში შესვლა იმისათვის, რომ სტუდენტებისთვის სავალდებულო ლიტერატურა გახდეს. გარდა ამისა, რატომ არის პლაგიატის მინიმალური ზღვარი 40%-ი დადგენილი. მან ხაზი გაუსვა, რომ პროგრამა არის უფრო აგრომიმართულების. დაწესებულების წარმომადგენელმა, ნანა შარაბიძემ გიდი და ექსკურსიამცოდნეობის და სტუდენტის პირველ პრაქტიკასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ ორივე სასწავლო კურსი ერთმანეთთან კავშირშია, თუმცა გიდი და ექსკურსიამცოდნეობა მოიცავს სასწავლო პროცესში სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად საექსკურსიო მარშრუტის მომზადებას, ხოლო 1-ელი პრაქტიკა, რომელიც ეხება საექსკურსიო საქმიანობას, სტუდენტი ამ კურსის გავლის შემდეგ მოახდენს თავისი ცოდნის განმტკიცებას. მე-2 პრაქტიკა ტურისტული კონკრეტული მომსახურების მიმწოდებელი ობიექტების შესწავლას, ხოლო მე-3 პრაქტიკა კი ტუროპერეიტინგს მოიცავს. ტუროპერეიტინგის დროს სტუდენტს ეძლევა კონკრეტული ინდივიდუალური დავალება სასწავლო კურსის ფარგლებში იმისათვის, რომ ტურის პროექტირება დამოუკიდებლად მოახდინოს. 15 კვირის განმავლობაში, კვირაში ერთი დღე

სტუდენტი არის პრაქტიკის ობიექტზე. სტუდენტი პრეზენტაციას წარმოადგენს იმ დამოუკიდებლად შექმნილ ტურის პაკეტის შესახებ, რომელიც თვითონ შექმნა ან განაახლა არსებულ ტურისტულ ობიექტზე. ის იცავს პრაქტიკის ანგარიშს და არა საბაკალავრო ნაშრომს. პრაქტიკის ანგარიში კარგად წარმოაჩენს სტუდენტის ცოდნას და უნარებს ტურიზმის სფეროში. იზოლდა ხასაიამ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებს უპასუხა. მან განაცხადა, რომ „ინოვაციების ტურიზმი“ და „ტურიზმის ეროვნულ და რეგიონულ დაგეგმარების“ კურსი სამაგისტრო პროგრამაში წარმოდგენილია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. ის ლიტერატურა, რომელიც სილაბუსებში არ იყო ქართულად შეივსო უცხოური ლიტერატურით. თეა კორძაძემ პლაგიატთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დოკუმენტებში ტერმინი პლაგიატი არის ხარვეზი და ახლო მომავალში შეიცვლება განახლებული დოკუმენტით. ქეთევან კინწურაშვილმა სალექციო კურსის გამოშვებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დადგენილი სალექციო კურსის გამოშვების წესი, რომელიც მიღებულია შესაბამისი დებულებით უნივერსიტეტში. როდესაც აკადემიური პერსონალი გაამზადებს თავის სალექციო კურსს, ის დეპარტამენტის სხდომაზე განიხილება, გამოიყოფა ექსპერტები და რეცენზენტები. რეცენზენტების დადებითი დასკვნა გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც პლაგიატთან მიმართებაში დასკვნის საფუძველზე გაუტანს ფაკულტეტის საბჭოზე. ეს უკანასკნელი თუ დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს, ამ გადაწყვეტილებასთან ერთად ყველა მასალა გადაეცემა საუნივერსიტეტო საგამომცემლო კომისიას. შესაბამისად, უნივერსიტეტში ასეთი რეგულაცია არის დადგენილი სალექციო კურსის გამოშვების.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 19:15
დასრულებისდრო: 19:47
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერისტეტის ,,ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ საბოლოოდ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში ტურიზმის დარგობრივ მახასიათებელთან და პროგრამას დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურსები.
2. დამატებით პროგრამებში შეთავაზებულ იქნას არჩევითი კურსები;
3. უფრო მეტ სემესტრში ისწავლებოდეს ინგლისური;
5. განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა და სახელმძღვანელოები კურსების სილაბუსებში (ტურიზმის საფუძვლები, "ტურიზმის ეროვნული და რეგიონული დაგეგმვა". საქართველოს ტურიზმისრეკრეაციული რესურსები, პროფესიული ეთიკა და ეტიკეტი, გიდი და ექსკურსია, ტურიზმის ეკონომიკა, ტურიზმის მენეჯმენტი, სასტუმროს მენეჯმენტი, სატრანსპორტო მომსახურება ტურიზმში, ტურიზმის რეკლამა, საინფორმაციო სისტემები ტურიზმში).
6. განისაზღვროს "საქართველოს მატერიალურკულტურული ძეგლები"-ს კურსის ფარგლებში სავალდებულო ლიტერატურის ოდენობა
7 რეკომენდებულია ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურას დაემატოს კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის მომზადება და შესაბამისობაში მოვიდეს დარგობრივი მახასიათებელთან.

რჩევები:
1. სასურველია, დაწესებულებამ მოამზადოს საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი სტუდენტების საერთო რაოდენობის გათვალისწინებით, რაც ნათლად ასახავს პროგრამის ფინანსურ პარამეტრებს.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერისტეტის ,,ტურიზმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტურიზმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ საბოლოოდ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:
1. ძირითადი კურსები უმჯობესია მოიცავდეს მარკეტინგის სტრატეგიებს.

2. რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამას დაემატოს მარკეტინგის მიმართულებით შესაბამისი სასწავლო კურსი.
3. რეკომენდებულია "კულტურული ტურიზმის" სასწავლო კურსის შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში სამაგისტრო სწავლების საფეხურთან.
4. განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა და სახელმძღვანელოები კურსების სილაბუსებში (მდგრადი ტურიზმის განვითარება, ადგილობრივი და რეგიონული ტურიზმის დაგეგმვა)
5 რეკომენდებულია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინოს დაწესებულების და პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ნათლად აჩვენებს პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმს.

რჩევები:
1. სასურველია, დაწესებულებამ გააძლიეროს ძალისხმევა სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობის გაზრდისთვის.

4.მეოთხე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა და ინტერიერის დიზაინი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ები)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	12.07.2016, გადაწყვეტილება №39
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0731 Architecture and town planning
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, 0171, კოსტავას ქ.@ 77ა
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგებში რეკომენდებულია ცოდნა გაცნობიერების ნაწილში აისახოს არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობების, ასევე დარგობრივი სამართლებრივი რეგულაციების კომპონენტი; შენობანაგებობის სისტემებთან დაკავშირებული სტრუქტურების, მასალების, კონსტრუქციების, სამშენებლო პროცესების, ტექნოლოგიებსა და სხვა საინჟინრო საკითხები; უნარის ნაწილში - პროექტში, როგორც ერთ მთლიან შემაჯამებელ დოკუმენტში, კონსტრუქციების, ტექნოლოგიების, მასალების ტექნიკურ, ესთეტიკური და საექსპლუატაციო თვისებების, ასევე სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, ტექნიკურ და უსაფრთხოების სისტემების გათვალისწინება.
2. საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება „არქიტექტურა და ინტერიერის დიზაინი“ იწვევს გარკვეულ კითხვებს. იმის გამო, რომ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მიხედვით დეტალური სფერო „არქიტექტურა“ მიეკუთვნება ფართო სფეროს - 07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა, ხოლო დეტალური სფერო „ინტერიერის დიზაინი“ ფართო სფეროს - 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები. ამასთან დაკავშირებით რეკომენდებულია ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით მოხდეს პროგრამის სახელწოდების დაკორექტირება.
3. თვითშეფასების ანგარიშის მე-12 გვერდზე „საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის მიმოხილვის“ ნაწილში აღნიშნულია, რომ კვალიფიკაციის მაფორმირებელი სავალდებულო საგნებია 150 ECTS, ამავე დოკუმენტის მე-7 გვერდზე „საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის“ ნაწილში მითითებულია, რომ პროგრამის ძირითადი საგნებია - 180 ECTS. თავად პროგრამაში მე-2 გვერდზე „სწავლების ორგანიზების თავისებურებებში“ აღნიშულია, რომ პროგრამის ძირითად საგნებს უჭირავთ - 180 ECTS, ხოლო ამავე დოკუმენტის მე-4 და მე-5 გვერდზე მითითებულია, რომ კომპეტენციის მაფორმირებელ სავალდებულო საგნებს ეთმობა – 174 ECTS. ამასთან დაკავშირებით უნდა დაზუსტდეს თუ რომელი მაჩვენებელია სწორი და ყველა ჩანაწერი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში.
4. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - არქიტექტურის ბაკალავრი, რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის ძირითად საგანთა ველი, რათა პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვულ სწავლის შედეგებთან.
5. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს პროგრამის ძირითად საგნებს, STEM ბლოკს, ჰუმანიტარულ-სოციალურ ბლოკს, პროგრამის სავალდებულო ასარჩევ საგნებს და სპეციალობის დამატებით საგანთა ორ ბლოკს: ურბანული არქიტექტურის და ინტერიერის დიზაინის სახით. თუმცა იმის გამო, რომ „ინტერიერის დიზაინი“ მიეკუთვნება ფართო სფეროს - 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები, ის ვერ იქნება განხილული, როგორც სპეციალობის მაფორმირებელი ერთ-ერთი კონცენტრაცია. ამასთან დაკავშირებით რეკომენდებულია ზემოთაღნიშნულიკონცენტრაციის სასწავლო კურსები

წარმოადგენდნენ არჩევითი საგნების ბლოკის კურსებს. ამასთან დაკავშირებით რეკომენდებულია ზემოთაღნიშნული კონცენტრაციის სასწავლო კურსები დაემატოს პროგრამის არჩევითი საგნების ველს.

6. რიგ სასწავლო კურსებში რეკომენდებულია სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის შევსება-განახლება.
7. რეკომენდებულია საბაკალავრო პროგრამა „არქიტექტურა და ინტერიერის დიზაინი“-ს დაშვების წინაპირობას დაემატოს აბიტურიენტის სამგანზომილებაში აზროვნების უნარების შესაფასებელი ტური ნებისმიერი მიზანშეწონილი ფორმატით (გასაუბრება, პორტფოლიო და ა.შ.).
8. რეკომენდებულია გასწორდეს ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული მონაცემების შესწავლისას გამოვლენილი შეუსაბამობა.
9. რეკომენდებულია მოწესრიგდეს განმახორციელებელი პირების დოკუმენტაცია

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი, ნინო ხაბეიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ არაგეგმური მონიტორინგის ფარგლებში პროგრამის შემოწმება მოხდა დისტანციური ფორმით. პირველი სტანდარტი მეტწილად, ხოლო მეორე და მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. რეკომენდაციების გაცემის საფუძველი იყო ორი დოკუმენტი, კერძოდ დარგობრივი მახასიათებელი, რომელიც 2020 წელს შევიდა ძალაში და განახლებული ჩარჩო დოკუმენტი და კლასიფიკატორი. რეკომენდაცია იყო, რომ სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოსულიყო დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. ძველი კლასიფიკატორის მიხედვით, არქიტექტურა იყო მიმართულებათაშორისი დარგი, რომელსაც მოიცავდა არქიტექტურას და ინტერიერის დიზაინს. განახლებული ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით, დეტალური სფერო არქიტექტურა შევიდა ინჟინერიაში და დეტალური სფეროს ინტერიერის დიზაინი გადავიდა ხელოვნებაში. პროგრამაში იყო მოცემული ურბანული არქიტექტურა და ინტერიერის დიზაინიც, რომელიც თავისი არსით ერთად ვერ იქნებოდა იმიტომ, რომ არ გადიოდა არქიტექტურის კვალიფიკაციაზე. აბიტურიენტების დაშვების წინაპირობად უნდა ყოფილიყო სამ განზომილებაში აზროვნების დამადასტურებელი ბარიერი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ არსებობს „არქიტექტურის განათლების ქარტია“, რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო არქიტექტორთა კავშირისა და UNESCO UIA-ს მიერ ერთობლივი მუშაობით. აღნიშნული დოკუმენტი მიუთითებს იმაზე, რომ არქიტექტურის პროგრამაზე უნდა იქნას ისეთი პირი მიღებული, რომელსაც ექნება შესაბამისი უნარები და გავა სწავლის შედეგზე. დაწესებულების მიერ რეკომენდაციების 80%-ი გაზიარებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, თინათინ ღუდუშაური მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები რელევანტური, საქმიანი და პროგრამის სრულყოფაზე ორიენტირებული იყო. რეკომენდაციების დიდი ნაწილი ეხებოდა დარგობრივ მახასიათებლით განსაზღვრულ სტანდარტებს. პროგრამის სწავლის შედეგებში უფრო მკაფიოდ და ნათლად უნდა ყოფილიყო ძირითადი მოთხოვნები ჩამოყალიბებული, რომლებიც დარგობრივი მახასიათებლით არის განსაზღვრული. პირველი რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებს, რომ ნათლად და მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი სტანდარტთან შესაბამისობა უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის სახელწოდების ცვლილებას. პროგრამას ერქვა არქიტექტურა და ინტერიერის დიზაინი. კვალიფიკაცია და დეტალური სფერო სრულ შესაბამისობაში იყო

მოთხოვნებთან იმიტომ, რომ სტუდენტს ენიჭებოდა არქიტექტურის კვალიფიკაცია. ყველა ის საგანი, რომელიც აქამდე ურბანული არქიტექტურის საგანთა კონცენტრაციის მოდულით იყო შეთავაზებული სტუდენტისათვის, გადავიდა სავალდებულო საგნების ჩამონათვალში. ინტერიერის დიზაინით გათვალისწინებული საგნები კი, კერძოდ „ფერი და სინათლე“, „სტილი ინტერიერში“ და ა.შ. გადავიდა არჩევითი საგნების ჩამონათვალში. პროგრამის ძირითად საგნებს დაემატა არჩევითი საგნების ფორმატში შეთავაზებული „ენერგო ეფექტურობა მშენებლობაში“, რომელიც მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარებისათვის. გამოსწორდა ტექნიკური ხარვეზი, რომელიც ეხებოდა კრედიტების განსხვავებულ რაოდენობას. უნივერსიტეტმა გაიზიარა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პროგრამის სახელწოდების დაკორექტირებას და სრულ შესაბამისობაში მოყვანას. თინათინ ღუდუშაურმა, პროგრამის დაშვების წინაპირობასთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი იზიარებს რეკომენდაციას. პროგრამის განვითარების საბჭომ იმსჯელა იმის შესახებ, რომ განსაზღვრულიყო ისეთი წინაპირობა, რომელიც პროფესიულ უნარებს მომავალი არქიტექტორებისათვის განსაზღვრავდა. წინაპირობებს დაემატა პროფესიული პოტენციური უნარების დამადასტურებელი პორტფოლიო და გასაუბრება სპეციალობაში. თუ აბიტურიენტს პროტფოლიოს წარმოდგენის შესაძლებლობა არ აქვს, რომელიც მოიცავს შესრულებულ ნამუშევრებს, მოხდება მასთან გასაუბრება და ამ უნარების გადამოწმება. მე-8 და მე-9 რეკომენდაცია ეხებოდა რამდენიმე დოკუმენტში ხარვეზების გასწორებას. რამდენიმე აკადემიური პერსონალის ხელშეკრულება არ იყო გაზიარებული ექსპერტებისთვის. თინათინ ღუდუშაურს აინტერესებდა რა ტიპის დოკუმენტები არის მოსაწესრიგებელი ექსპერტების მიერ დაზუსტება რომ მოხდეს. ყველა დოკუმენტი მოწესრიგებულია იმ სტანდარტის მიხედვით, რომელიც უნივერსიტეტში მოქმედებს. გარდა ამისა, დაწესებულებამ გაითვალისწინა ორი რჩევა, რომელიც ეხებოდა პროგრამის მიზანში პროფესიული პრაქტიკული საქმიანობის უნარის დაკონკრეტებას კვალიფიკაციის დონის განმარტების შესაბამისად და სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლა სწავლების მეთოდების ასახვა პროგრამით გათვალისწინებულ აქტივობებში და მეთოდებში. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა რიგ სილაბუსებში სასწავლო ლიტერატურის განახლებას, თუმცა ექსპერტების მიერ დაზუსტებული არ იყო სილაბუსები. ექსპერტმა, ნინო ხაბეიშვილმა განმარტა, რომ თვითშეფასებაში მოყვანილი ადამიანური რესურსის რაოდენობრივი მაჩვენებელი არ ემთხვეოდა დაწესებულების მიერ მოწოდებულ მონაცემებს. თვითშეფასების ანგარიშში ნაჩვენები იყო, რომ აკადემიური პერსონალის რაოდენობას წარმოადგენდა 11, ხოლო მოწვეულის 41, თუმცა უნივერსიტეტის მიერ გაზიარებულ მასალაში მოცემული იყო, რომ უნივერსიტეტს აკადემიური პერსონალი ჰყავდა 9, ხოლო მოწვეული 43. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არ იყო გიორგი გუბაშვილის, გიორგი ძაუტაშვილის CV-ები და დავით პაპავას დიპლომი. ეს ხარვეზები პროგრამას არ აკნინებს იმიტომ, რომ აკადემიური რესურსი, რომელიც უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისია იმისათვის, რომ პროგრამა განხორციელდეს ხარისხიანად.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართასაბჭოსწევრებსწარმოედგინათმოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მარინა მაისურაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, უნივერსიტეტს აქვს თუ არ გაფორმებული მემორანდუმები ორგანიზაციებთან და ექსპერტებს თუ ჰქონდათ ამის შესახებ ინფორმაცია. საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა განმარტა, რომ პროგრამის შემოწმება დისტანციური ფორმით არაგეგმური მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტებმა სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან დადგენის მიზნით განახორციელეს. შესაბამისად, მემორანდუმების შესახებ ისინი ინფორმაციას ვერ მიიღებდნენ. თინათინ ღუდუშაურმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას 11 ორგანიზაციასთან აქვს მემორანდუმი გაფორმებული. გარდა ამისა, პროგრამა მე-7 და მე-8 სემესტრში ითვალისწინებს პრაქტიკას, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი მუშაობს საბაკალავრო პროექტზე. აკადემიური პერსონალი შედგება მოქმედი არქიტექტორებისაგან, რომლებიც მუშაობენ არქიტექტურულ კომპანიაში.

მარინა მაისურაძემ განაცხადა, რომ პროგრამის ახალი ვერსია ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებათა სკოლის ვებგვერდზეა ისევ ასახული, რომელიც შესაცვლელია. მას აინტერესებდა, სწავლა ახალი პროგრამით მიმდინარეობს თუ არა უნივერსიტეტში. თინათინ ღუდუშაურმა აღნიშნა, რომ ახალი პროგრამა სრულად გასწორებულია და მზად არის მომავალი წლისათვის. შესაბამისად, დარგობრივ მახასიათებელთან სრულად შესაბამისობაშია პროგრამა. მიმდინარე წელს პროგრამა გამოცხადებულია როგორც არქიტექტურა და ინტერიერის დიზაინი, თუმცა სტუდენტს არქიტექტურის კვალიფიკაცია ენიჭება. მაგალითად, სტუდენტი როდესაც ადმინისტრირებაში იღებს ხარისხს და ამ პროგრამის განხორციელება ხდება ხელოვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებათა სკოლაში არ ნიშნავს იმას, რომ კვალიფიკაცია ხელოვნების მიმართულებისაა. დაწესებულების წარმომადგენელმა, არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამა არის უფრო ტექნიკური მიმართულების, ვიდრე ჰუმანიტარული. სკოლებში არსებობს კომპეტენციის ცენტრები. კომპეტენციის ცენტრი არის გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ქმნის გარკვეულ სკოლას კონკრეტული მიმართულებით. ეს პროგრამა განეკუთვნება ტექნიკურ მიმართულებას, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პროგრამა არ შეიძლება იყოს ჰუმანიტარული მიმართულების. შესაბამისად, ასეთია უნივერსიტეტის პოლიტიკა კომპეტენციის ცენტრებთან მიმართებით. საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რეკომენდაციების გარეშე პროგრამა არის თუ არა კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში. ნინო ხაბეიშვილმა უპასუხა, რომ კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში პროგრამა იქნება იმ შემთხვევაში თუ დაწესებულება გაითვალისწინებს ყველა რეკომენდაციას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:15
დასრულების დრო: 20:32

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესასრულებლად 60 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე შპს საქართველოს უნივერსიტეტის „არქიტექტურისა და დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც ოქმშია მოცემული.

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული შეფასება და რეკომენდაციები.

1. პროგრამის სწავლის შედეგებში რეკომენდებულია ცოდნა გაცნობიერების ნაწილში აისახოს არქიტექტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებლობების, ასევე დარგობრივი სამართლებრივი რეგულაციების კომპონენტი; შენობანაგებობის სისტემებთან დაკავშირებული სტრუქტურების, მასალების, კონსტრუქციების, სამშენებლო პროცესების, ტექნოლოგიებსა და სხვა საინჟინრო საკითხები; უნარის ნაწილში - პროექტში, როგორც

ერთ მთლიან შემაჯამებელ დოკუმენტში, კონსტრუქციების, ტექნოლოგიების, მასალების ტექნიკურ, ესთეტიკური და საექსპლუატაციო თვისებების, ასევე სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, ტექნიკურ და უსაფრთხოების სისტემების გათვალისწინება.

2. საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება „არქიტექტურა და ინტერიერის დიზაინი“ იწვევს გარკვეულ კითხვებს. იმის გამო, რომ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მიხედვით დეტალური სფერო „არქიტექტურა“ მიეკუთვნება ფართო სფეროს - 07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა, ხოლო დეტალური სფერო „ინტერიერის დიზაინი“ ფართო სფეროს - 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები. ამასთან დაკავშირებით რეკომენდებულია ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით მოხდეს პროგრამის სახელწოდების დაკორექტირება.
3. თვითშეფასების ანგარიშის მე-12 გვერდზე „საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის მიმოხილვის“ ნაწილში აღნიშნულია, რომ კვალიფიკაციის მაფორმირებელი სავალდებულო საგნებია 150 ECTS, ამავე დოკუმენტის მე-7 გვერდზე „საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის“ ნაწილში მითითებულია, რომ პროგრამის ძირითადი საგნებია - 180 ECTS. თავად პროგრამაში მე-2 გვერდზე „სწავლების ორგანიზების თავისებურებებში“ აღნიშულია, რომ პროგრამის ძირითად საგნებს უჭირავთ - 180 ECTS, ხოლო ამავე დოკუმენტის მე-4 და მე-5 გვერდზე მითითებულია, რომ კომპეტენციის მაფორმირებელ სავალდებულო საგნებს ეთმობა – 174 ECTS. ამასთან დაკავშირებით უნდა დაზუსტდეს თუ რომელი მაჩვენებელია სწორი და ყველა ჩანაწერი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში.
4. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - არქიტექტურის ბაკალავრი, რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის ძირითად საგანთა ველი, რათა პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვულ სწავლის შედეგებთან.
5. საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს პროგრამის ძირითად საგნებს, STEM ბლოკს, ჰუმანიტარულ-სოციალურ ბლოკს, პროგრამის სავალდებულო ასარჩევ საგნებს და სპეციალობის დამატებით საგანთა ორ ბლოკს: ურბანული არქიტექტურის და ინტერიერის დიზაინის სახით. თუმცა იმის გამო, რომ „ინტერიერის დიზაინი“ მიეკუთვნება ფართო სფეროს - 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები, ის ვერ იქნება განხილული, როგორც სპეციალობის მაფორმირებელი ერთ-ერთი კონცენტრაცია. ამასთან დაკავშირებით რეკომენდებულია ზემოთაღნიშნულიკონცენტრაციის სასწავლო კურსები წარმოადგენდნენ არჩევითი საგნების ბლოკის კურსებს. ამასთან დაკავშირებით რეკომენდებულია ზემოთაღნიშნული კონცენტრაციის სასწავლო კურსები დაემატოს პროგრამის არჩევითი საგნების ველს.
6. რიგ სასწავლო კურსებში რეკომენდებულია სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის შევსება-განახლება.
7. რეკომენდებულია საბაკალავრო პროგრამა „არქიტექტურა და ინტერიერის დიზაინი“-ს დაშვების წინაპირობას დაემატოს აბიტურიენტის სამგანზომილებაში აზროვნების უნარების შესაფასებელი ტური ნებისმიერი მიზანშეწონილი ფორმატით (გასაუბრება, პორტფოლიო და ა.შ.).
8. რეკომენდებულია გასწორდეს ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული მონაცემების შესწავლისას გამოვლენილი შეუსაბამობა.
9. რეკომენდებულია მოწესრიგდეს განმახორციელებელი პირების დოკუმენტაცია

5. მეოთხე საკითხი: სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს - "გამოყენებითი ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.07.2015, გადაწყვეტილება №100
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ეკონომიკა 0311
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	40
14	განხორციელების ადგილი	ქართული უნივერსიტეტის ქუჩა, №1, ქ. თელავი, სასწავლო კორპუსი №1, 22.00, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი, ეკა გეგეშიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - "გამოყენებითი

ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2020 წელს. რეკომენდაციების გაცემის მიზანს წარმოადგენდა პროგრამის დახვეწა და განვითარება. პროგრამას მიენიჭა 7 წლის ვადით აკრედიტაცია 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენით. რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ მონიტორინგი დისტანციური ფორმატით ჩატარდა 2023 წლის 18 აპრილს. დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაციები. გადაიხედა პროგრამის მიზნები და დაზუსტდა, მოდიფიცირდა შედეგები პროგრამის შინაარსთან და კვალიფიკაციასთან მიმართებაში, სასწავლო კომპონენტების ნაწილი უფრო მეტად მოერგო კვლევითი უნარების განვითარებას, რომელიც იძლევა მიზნებისა და შედეგების მიღწევის უკეთეს შესაძლებლობა, სილაბუსები დაკორექტირდა, დაემატა ახალი პერსონალი პროგრამას და შემუშავდა ფინანსური მდგრადობის მიდგომები. გარდა ამისა, გაუმჯობესდა ხარისხის მექანიზმები. უნივერსიტეტი ინტენსიურად მუშაობდა სადოქტორო პროგრამის გაუმჯობესებისათვის. პროგრამას არასდროს ჰყოლია კურსდამთავრებული, თუმცა უნივერსიტეტი განმარტავს, რომ ერთი კურსდამამთავრებელი ჰყავს პროგრამას, რომელიც მალე დაიცავს სადოქტორო ნაშრომს. ექსპერტმა, ეკა ლეკაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია არის შესრულებული. წინ გადადგმული ნაბიჯია დაწესებულების მიერ ინტერნაციონალიზაციის კუთხით. გარდა ამისა, ხელმძღვანელი ჰყავს დამატებული პროგრამას. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, თუმცა ისინი არ იღებენ მონაწილეობს იმიტომ, რომ პრაქტიკულ საქმიანობას ეწევიან ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, უფინანსებს თუ არა დაწესებულება სტუდენტს პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის თანხას. შალვა ჭკადუამ უპასუხა, რომ თანხა განსაზღვრული არ არის, თუმცა თუ სტუდენტის პუბლიკაცია მოხვდება მაღალრეიტინგულ ჟურნალში დაწესებულება სრულად დააფინანსებს თანხას. ლალი ჩაგელიშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული ბიუჯეტი. „ფინანსურ დოკუმენტში“ გაწერილია პუბლიკაციების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით დოქტორანტების დაფინანსების წესი, თუმცა კონკრეტული თანხა არ არის განსაზღვრული. ამჟამად გამზადებულია ერთი პუბლიკაცია ''Scopus''-ის ჟურნალში გამოსაქვეყნებლად. გარდა ამისა, 7 ივლისისთვის ერთი სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომია წარდგენილი დაცვაზე. პროგრამაზე სულ ხუთი მოქმედია სტუდენტია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:57
დასრულების დრო: 21:10

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - "გამოყენებითი ეკონომიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე გეგმური მონიტორინგის შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის ფარგლებში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 2023 წლის 27 ივნისის 21:15 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი